საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია № 271 ოთხშაბათი, 3 ივლისი 1918 წ. № 271

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

**ივლისის 2 ჩვენმა ჯარმა უბრძოლველად აიღო სოფ. ნატახტარი დუშ. მაზ. მეამბოხენი იარაღს აბარებენ ადგილობრივ რევოლიუციონურ ორგანიზაციებს.—სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა სდგება. მთავრობა იგი დაუყონებლივ გაემგზავრება სომხეთის დედა-ქალაქ—ერევანში.—უკანასკნელი ცნობებით ჩვენმა ჯარმა ქ. დუშეთი დაიკავა.**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ—1 მან., უკან—50 კაპ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15—2 ღირს 10 მან., 20—2 ღირს 15 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში“ (კ. თავართქილაძესეული „ნადეჟდა“) ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება სამი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დაბეჭდვი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Смхалхо Сакмэ“, поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე“ ღირს:
ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.
ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ადრ.: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის“ რედაქციას.

სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო საბჭო და სასამართლო გლოვით აუწყებს ქართველ ერს, რომ ამა ივნისის 26—27-ს მამა ანტონ მარტომყოფელის მონასტერში ღვთით მიიცვალა უწმინდესი და უნეტარესი კათოლიკოზ-პატრიარქი სრულიად საქართველოისა
კ ი რ ი ო ნ მე-II
მისი უწმინდესობის ნეშთი დასვენებულია ანჩისხატის ტაძარში, რომლის კარი დღე და ღამ ღიაა. ყოველ დღე დილის 8 საათზე არქიელის წირვაა.—პანაშვიდები აგრეთვე ყოველ შუადღის 12 ს. და საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა კვირას, 7 მკათათვეს სიონის ტაძარში. 1218

უზომოდ დამწუხრებულნი ივანე როსტომის ძე მიქაძე და მეუღლე მისი ივდითი მახარობელის ასული და შვილები მათი ნიკოლოზ, თამარ, ნინო, გიორგი და ელენე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ივნისის 29-ს, საღამოს 8 საათზე გარდაიცვალა პირველი ორის შვილი და უკანასკნელი და, ძვირფასი და დაუვიწყარი
მარიამ (მარუსა) ივანეს ასული
მ ი ქ ა ძ ე.
პანაშვიდი დღეს საღამოს 6 ნახევ. საათზე არამიანცის საავადმყოფოს სამლოცველოში, საიდანაც ოთხშაბათს, ივლისის 3-ს გამოსვენებულ იქნება საღამოს 6 საათზე საკუთარ სახლში (კამგეროვის ქუჩა, № 17) იქვე პანაშვიდი გამოსვენება ხუთშაბათს, ივლისის 4 ს სახლიდან წმ. მარინეს ეკლესიაში დილის 9 ნახ. საათზე. დაკრძალვა იმავე დღეს პეტრე პავლეს სასაფლაოზე. 694

ელენე და დავით სანებლიძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ივნისის 30-ს, დილის 3 ს. გარდაიცვალა მათი ძვირფასი დეიდა
სოფიო გიორგობიანი
მიცვალებულს გამოასვენებენ მისი ბინიდან (სოლოლაკის ქ. № 2) დღეს ივლისის 2-ს, დილის 9 საათზე. 696

ნინო ფარეშუზის ასული, ალექსანდრე, თამარ და მაკა დავითის ძე და ასულნი ნაცვლიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ძვირფასი მეუღლისა, მეორე, მესამე და მეოთხე მამისა
დავით (ქარუმა) უარამანის ძე
ნაცვლიშვილის
გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 29 თიბათვეს სოფელ მალაროში. პანაშვიდები ყოველ დღე. დაკრძალვა იქვე 4 ივლისს საგვარეულო ეკლესიაში. 701

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად
საქართველოს რესპუბლიკის
რ უ კ ა
უახლოესი გამოცემა. რუკა იყიდება ქ. ტფილისის და ქუთაისის წიგნის მაღაზიებში. 650.



დიდი ცირკი
ძმ. ეფიმოვებისა
მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზაფხულო შენობა, ტელეფ. 18—00.
დღეს, 3 ს და ხვალ ივლისის 4 გაიმართება
გალა სპორტი
მონაწილეობენ მოჯირითენი, აკრობატები, გიმნასტები, მოცეკვავენი და სხ... მონაწილეობენ მუსიკ. ექსცენტრიკოსნი ძმ. რიგო და იაპონიის კარის დასი იამოლა-სანისა. დღეს—ეშმაკის ხიდი, და ველოსიპედ. გაბრიელ-ოვარის ვარჯიშობა. აგრეთვე მონაწილეობენ მოჯირითე ვლადიმიროვი და მოცეკვავე ბონ ბონ და ბოდი.
ანონსი: პარასკევს ბენეფისი ცნობილ არტისტის გაბრიელ ოვაროსი.
693 მთავარი გამგე: ბ. ელიზაროვი.

საჯარო ვაჭრობა
ტფილისის ქალაქის სამმართველო აცხადებს
რომ შაბათს, ივლისის 6-ს 1918 წ. დილის 11 საათზე სამმართველოს თანადასწრებით
მოხდება საჯარო ვაჭრობა
იჯარით გაიცემა ქალაქის ყაფაზებიდან გადასახადის შემოსავალი. ყაფაზები არსებობენ 1) მალაკნების მოედანზე, 2) სალდათთა მოედანზე სომხთა სემინარიის შენობაში და 3) ვახეთის მოედანზე ნუნუფაროვის ეზოში.
პირობებისა და ცნობების გაგება შეიძლება ქალ. სამმართველოს საიჯარო განყოფილებაში. 1220

**ტფილისი, 3 ივლისი 1918 წ.**

**გარეშე საფრთხე**

ხალხის ფართო მასა მოკლებულია საშუალებას თვალ-ყური ადევნოს იმ გარეშე პოლიტიკას, რომელსაც ჩვენი მთავრობა აწარმოებს, ამით სარგებლობენ საქართველოს მტრები და პროვოკაციას ეწევიან სოფლად. მდგომარეობა კი შეუძლებელია მტკიცედ ჩაითვალოს. ჩვენი ხალხი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ოსმალეთის შემოსევის საფრთხე ჯერ კიდევ არ არის თავიდან აცილებული. ჩვენ ვიცით, რომ ხელ-შეკრულობის ძალით ოსმალეთს აწყური და აბასთუმანი უნდა დაეცალა, მაგრამ ოსმალეთმა არამც თუ დასცალა ეს ადგილები, გააძლიერა ჯარი ამ რაიონში. ოსმალეთს შეუძლიან ყოველს წუთს ჯარი მოგვდოს და საომარი მოქმედება ჩვენს წინააღმდეგ განაახლოს. ერთად-ერთი საშუალება თავის დაცვისა არის ჯარის შექმნა და ისეთი წესწყობილების დამყარება, რომ ჯარის შენახვა და მით სარგებლობა შესაძლებელი გახდეს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პასუხისმგებელ წრეებს ეს კარგად აქვთ შეგნებული, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ყოველნაირ ზომას ღებულობს საფრთხის თავიდან ასაცილებლად, შიშს არავითარი საფუძველი მოაქვს, რადგანაც საქართველოს ცენტრის კუთხეში, უფრო კი საქართველოს ველურ ადგილებში, ფეხს იკიდებს პროვოკატორების წყალობით გამოწვეული ანარქია.

რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ ანარქიას? პროვოკატორებმა და ოსმალეთის აგენტებმა ეს ძალიან კარგად იციან, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ვერ გაუთვალისწინებია ხალხს. ამ ანარქიას შედეგად ის შეიძლება მოჰყვეს, რომ საქართველოს სრულიად დაეკარგება უნარი თავის დაცვისა, იგი დანაწილდება და დაიქსაქსება ისევე, როგორც რუსეთი დანაწილდა; ერთს მაზრაში არ ეცოდინებათ რა ხდება მეორე მაზრაში, მიმოსვლა ყოველნაირი საშუალება საქონლის გაცვლა-გამოცვლისა, შეუძლებელი გახდება შენარჩუნება რკინის გზის წესიერი მუშაობისა. ყველაფერი ეს ისე ძლიერ დაასუსტებს საქართველოს, რომ ოსმალეთს აღარ გაუჭირდება ხელის ერთი მოსმით დაეპატრონოს საქართველოს და ქართველი ხალხიც ისეთს საშინელ მდგომარეობაში ჩააგდოს, რანაირიც მას თავის დღეში არ უნახავს.

საქართველოში გამწვავებულ ანარქიისა და არევ-დარევის ერთად ერთი შედეგი ეს შეიძლება იყოს. ამიტომ ყოველ შეგნებულ მოქალაქეს, სადაც არ უნდა იყოს იგი ვალად ედება განუმარტოს ხალხს საქმის ნამდვილი ვითარება, დაანახვოს მას, რომ არეულობის მოხდენით ისპობა საქართველო, იღუპება ხალხი და ოსმალეთის შემოსევას ნიადაგი უმზადდება.

ხალხმა უნდა გაიგოს, ვინ არის მისი ნამდვილი მტერი და მოყვარე. ხალხმა უნდა დაინახოს, რომ მისი თავისუფლების, მისი კეთილდღეობის ერთად-ერთი დარაჯი მისი საკუთარი ჯარია. უნდა დარწმუნდეს და შეიგნოს, რომ ის სახელმწიფო, ის ხალხი, რომელიც ჯარს არ შექმნის, აუცილებლად დაიღუპება და დაღუპვის ძირზე ისევ თავათ იქნება.

გარეშე საფრთხე ჯერ აცილებული არ გვაქვს თავიდან და თუ ჩვენმა ხალხმა ეს დროზე არ შეიგნო, აუცილებლად დაიღუპება და ოსმალეთის მონად გადაიქცევა.

## მთავრობაში

პროვინციებში ანარქიის გაძლიერების გამო, მთავრობამ თავის თავმჯდომარეს, სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრებს დაავალა მიიღონ სწრაფი და სასტიკი ზომები ანარქიის მოსასპობად.

—

იუსტიციის მინისტრის მოხსენება, შესახებ ზოგიერთ დანაშაულთა სიკვდილით დასჯის შესახებ, მთავრობამ მოიწონა და წინადადება მისცა მინისტრს სასწრაფოდ შეიტანოს ეროვნულ საბჭოში კანონპროექტი განსახილველად. კანონპროექტი უკვე წარუდგინა მთავრობას.

—

მთავრობამ განკარგულება გასცა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე 4 ივლისს ღამით, დრო ერთი საათით წინ გადაიწიოს. ამასთანავე ამ დროიდან ყველა სჰაიები და გასართობების ადგილი ელექტრონის და საზოგ. დამის 11 საათზე დაიხუროს.

## სოხუმის ოლქი

ოსმალთა ავანტიურა სოხუმის ოლქში დამთავრდა.

გენ. მაზნიაშვილს ცნობა მოუვიდა, მდ. კოდორთან ოსმალთა რაზმი გადმოვიდა და სოხუმისკენ მოდისო. მას მეთაურობს ყოფილი თავადი ალ. შერვაშიძეო. მაზნიაშვილმა კოდორის მარჯვენა ნაპირზე პოზიციები დაიკავა და გამაგრდა. ამის გამო ოსმალოებმა ვერ მოახერხეს სოხუმში შესვლა. საქართველოს მთავრობას თხოვნით საქმეში ჩაერია გერმანელების მისია.

ფონ კრესმა განუმარტა ოსმალოებს ბათომში შეუძლებლობა მათი ნაბიჯებისა და რომ ეს დარღვევაა საერთაშორისო პირობებისა და ამასთანავე იმ პირობებისაც, რომელიც არსებობს საქართველოსა და გერმანიას შორის.

ამიტომაც ოსმალთა დესანტი უკან გაბრუნდა და თან გაჰყვა ალ. შერვაშიძეც.

—

სოხუმის ამბების გამო, მიწათმოქმედების და გზათა მინისტრების დავალებით ზომები მიიღონ გაგრაში და სხვა ადგილებში სახელმწიფო ქონებათა დასაცავად.

## ომის დეპეშები

(სააგენტოს ცნობა)

**ბერლინი.** ივლისის 1. გერმანელთა სამხედრო მოხსენება. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ბევრ რაიონებში სამხედრო მოქმედება გაცხოველდა. გაცხოველდა აგრეთვე მზვერავ რაზმთა მოქმედება. ინგლისელთა ყველა ნაწილობრივი შეტევა ალბერის ჩრდილოეთით მოგერიებულ იქმნა.

**გერმანულ კრონპრინცის ლაშქარი.** ძლიერი უზსა და მარნს შორის მტრის გაცხოველებული მოქმედება სწარმოებს; რეიდენკურთ ქვეითი ჯარი შეესია დასავლეთს. ს. პიერ-ეგლის ახლო, სამხრეთით მტერი დიდი მზადების შემდეგ შეტევაზე გადმოვიდა, მაგრამ უკუქცეულ იქმნა. ასევე მოიგერიეთ მტრის ახალი შეტევაც.

ლეიტენანტ ლოვენჰარდმა შე-32-ჯერ გაიმარჯვა ჰაერში. დათვლის შემდეგ გამოირკვა, რომ შეტევითი ომების დასაწყისიდან, ე. ი., 1918 წლის 21 მარტიდან, ჩვენ თავმოსაყრელ პუნქტებზე დაჭერილთა გადაიარა 191,454 კაცმა. აქედან 94 939 კ. ინგლისელია, მათ შორის 4 გენერალი, 3,100-მდე ოფიცერი და 89,099 ფრანგი, მათ შორის 2 გენერალი და 3100 ოფიცერი დანარჩენი პორტუგალიელები, ბელგიელები და ამერიკელები არიან, ბრძოლის ველზე დღემდე აკრეფილია და დათვლილი 2,476 ზარბაზანი და 15024 ტყვიის-მფრქვეველი.

**ბერლინი** ივნისის 30 საღამოს ცნობა. კერძო ხასიათის ადგილობრივი ბრძოლა გადატანილ იქნა მდინარე ურკის სამხრეთით.

**სტამბოლი** ივლისის 1. ოსმალთა სამხედრო მოხსენება. პალესტინის ფრონტი. სანაპირო რკინის გზის ლემოსავლეთით, ივნ. 29 ღამით, მტრის როტამ შეგვიტია, მაგრამ სასწრაფოდ მოვიგერიეთ. იერუსალიმ ნაბულისის გზის ორივე მხარეს საარტილერიო მოქმედება გაძლიერდა. ჩვენი არტილერია მამაცად ებრძვის მტერს. სხვა მხარეზე ღირს საცნობი არა მომხდარა რა.

**სოფია.** ივნ. 30 ბულგარეთის ახალი გზათა მინისტრი მოლოვი „გერმანულ—ბალკანეთის გაზეთის“ თანამშრომლებთან საუბრის დროს, მეტად აქებდა გერმანულ რკინ. გზათა ნაწილების მუშაობას, რომლებმაც ბულგარეთში შექმნეს ბულგარეთისთვის დიდხანს სასარგებლო და გამოსადეგი სახელმწიფო დაწესებულებანი.

**პარიზი.** ივლისის 1. სამხედრო მოხსენება. არ ყოფილა მთელი დღე-ღამის განმავლობაში საგულისხმო რამ სამხედრო მოქმედება.

**ბუქარესტი.** ივლისის 1 რუმინეთის პარლამენტის მიერ მიღებული საზავო პირობა რატიფიკაციისათვის სენატს გადაეცა.

**მოსკოვი.** ივნისის 30. უკანასკნელ ხანებში გავრცელებული ხმები ნამეფარ ნიკოლოზ 2 მოკვლის შესახებ პროვოკაციაა მხოლოდ.

## ახალი ამბავი

✦ **დუშეთის აღება.** უკანასკნელი ცნობებით, ივლისის 1-ს ჩვენი ჯარი დუშეთში შევიდა.

✦ ტფილისში მიღებულ ცნობებიდან გავიგეთ, რომ ჩვენმა ჯარებმა დაიჭირეს ნატახტარი. სოფლელების მხრივ არავითარი წინააღმდეგობა არ ყოფილა. იარაღს აბარებენ ჯარებს. პოლკ. კონიაშვილმა წინადადება მისცა მცხოვრებლებს მთებიდან დაბრუნდნენ. ბევრმა მუშაობას მიჰყო ხელი.

✦ **კირიონ II.** ფინანსთა მინისტრს ჟურულს მთავრობამ დაავალა სამძიმარი გამოუცხადოს საქართველოს კათოლიკოსის მოსაყდრეს, პატრიარქ-კათოლიკოსის, კირიონ მეორის გარდაცვალების გამო.

✦ **ივლისის 1** არ. ჯაჯანაშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა ფილარმონიული საზოგადოების საგანგებო კრება სკოლის რეორგანიზაციის შესახებ. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულთა კათოლიკოს-პატრიარქის კირიონის, კიტა აბაშიძის და ვლ. გოგუჩიას ხსოვნას. შემდეგ განხილულ იქმნა კომისიის მიერ შემუშავებული გეგმა სკოლის თანდათანობითი ნაციონალიზაციისა. გეგმა კრებამ დაამტკიცა.

✦ **ტფილ. ქალაქის საბჭოში.** ქალაქის საბჭოში, 1 ივნისის სხდომაზე გამოირკვა, რომ სასურსათო ორგანიზაციათა იმედი ახალქალაქის და ახალციხის მაზრებიდან პურის გამოზიდვის შესახებ არ გამართლდა. სასურსათო მინისტრის ამხანაგის, ტფილ. ქალაქის საბჭოს წარმომადგენელთა და ამ. კავკ. კოოპერატივთა წარმომადგენლების მოსვლისას, ოსმალოებმა დაარღვიეს საზავო ხელშეკრულობა, წაიღეს პური დაჭერილ რაიონებიდან, ამას არ დასჯერდნენ: გადმოლახეს საზღვარი და მოიტაცეს ის პურიც, რომლის გამოტანაც მოასწრეს ლტოლვილებმა. ამავე სხდომაზე ხმოსანმა რამიშვილმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობას, გერმანელთა მთავრობის შუამავლობით მიღებული აქვს ზომები, რომ სულ მოკლე ხანში პური შემოტანილ იქმნეს საქართველოში უკრაინიდან. პური მოვა არა უადრეს 2—3 კვირისა.

✦ ტფილისში მყოფ დუშელ ამხანაგების საყურადღებოდ ვაცხადებთ,

რომ იქაურები პირველ შეძლებისთანავე მივდივართ დუშეთში. ვისაც სურს ჩვენთან წამოსვლა სწრაფად მოვიდეს ვაკეთა პირველ გიმნაზიის შენობაში, გოლოვინის პროსპექტზე, სამხედრო ტაძრის გვერდით. იკითხოს პარტიზანი ალექსანდრე ინაშვილი.

◆ ხონის საოსტატო სემინარიაში თავისუფალია შემდეგი ადგილები: ქართული ენის მასწავლებლის, მათემატიკის, ისტორიის, მოსამზადებელი კლასის, აგრონომის, გალობის, ხაზვა-ხატვის, ხელობის და ხელსაქმის.

◆ ივნისის 29 ხოლერით ავად გახდა სამი კაცი. ივნისის 30 ქალაქის საავადმყოფოში მიყვანილია სულ 24 ხოლერიანი. ცნობაა, რომ 3 უკვე გარდაცვლილა. ავადმყოფთა უმრავლესობა ლტოლვილები არიან.

◆ **ქურდის მოკვლა.** ივლისის 1-ს მილიციელებმა შეიპყრეს ცნობილი ქურდი დავით სამხარაძე, რომელსაც პატარა დათას უძახდნენ. სამხარაძემ გამოაცხადა, რომ მას სურს აჩვენოს მილიციელებს თავისი ამხანაგების ბინები: როდესაც ის მიჰყავდათ მილიციონერებს, მან გზაში დააპირა გაქცევა რის გამოც მოკლულ იქმნა.

◆ **მანეთის კურსი.** გერმანელთა მისიაში დეპეშა მოვიდა ჩხენკელისაგან; მოხდა შეთანხმება გერმანიასთან რუსულს მანეთში 80 ფენინგის მიცემა, აგრეთვე კერენსკის ფულებსა და ბონებსაც. ეს პირობა ძალაშია 23 ივნისამდე. ვფიქრობთ ეს კურსი შემდეგშიაც არ შეიცვლება.

◆ ამ ორი დღის წინად რკინუჯვრის მთის სამოვრეების ორი ბინიდან თათრის ყაჩაღთა ბრბოებმა გარეკეს საქონლის ჯოგი, თან გაიტაცეს ორი კაცი. მათ დაედევნა სოფ. კაცხიდან 200 დე შეიარაღებული სოფლელი. ჯერ-ჯერობით არავითარი ცნობებია დაიბრუნეს თუ არა უკან გარეკილი ჯოგი.

## სოფლად და ქალაქად

**გორი.**

◆ ამ თვის პირველ რიცხვებში, ძველი სტილით, დანიშნული იყო გორის სამეურნეო საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრება, მაგრამ კრება არ შესდგა, რადგან დღესასწაულები შეესწრო. კრება, როგორც სამეურნეო საზოგადოების, ისე მის საკომერციო განყოფილების, შეერთებული, მოხდება ახლო მომავალში. კრების დრო გამოცხადებული იქნება.

◆ როგორც ვიცით, დუშეთის მაზრაში „ბოლშევიკების“ წყალობით ამბოხებაა ამ ჟამად, მაგრამ თავიანთ საქმირო—საქმეს იქ მარტო დუშეთის მაზრაში არა კმაყოფილდებიან და სცდილობენ ამბოხების ცეცხლი სხვაგანაც მოსდონ. დანამდვილებით გვიგეთ, რომ დუშეთის მაზრის ერთ ერთ სოფლის კომისარს, ვინმე ვ. ხარებაშვილს, ალბად „ბოლშევიკურ“ შავი ზრახვით ამოძრავებულს, წერილობით მიუმართავს მეჯვრისხევის, ცხინვალის და სხვ. კომისარებისთვის—კონტრ-რევოლუციონერებს (წითელ გვარდიას) ვებრძვით და მოგვეშველეთო. საჭირო მთავრობამ ასეთ პროვოკატორების წინააღმდეგ უსასტიკესი ზომები მიიღოს და სისხლში ჩაახრჩოს ყოველნაირი ამბოხება, მთავრობის წინააღმდეგ მიმართული.

◆ ამ ორი თვის წინ გორის კომისარიატში ვიღასაც მიუტოვებია 4 წლის ბავშვი. იქ ორი დღე ყოფილა, შემდეგ ქართველ ქალთა საზ. „მანდილოსანს“ „აუყვანია მოსავლელად. ბავშვი ავადმყოფია და „მანდილოსანს“ უთხოვია ქალაქის საავადმყოფოსთვის—მოერჩინათ და მერე თვითონ იკისრებდა მოვლა-პატრონობას, მაგრამ საავადმყოფოს არ უკისრნია—ბავშვია, ვერ მოვუვლითო, ამ ჟამად იგი „მანდილოსანთან“ იმყოფება. რა ეროვნების არის, არ იციან. ესმის ქართული, რუსული და სომხური. გამხდარია ძალზე და შავ-ყვითელი. უფრო ახალციხე-ჯავახეთიდან გამოქცეულის უნდა იყვეს. ამბობს, რომ სახელად ჰქვიან ვასო, გვარი არ იცის. როცა ჰკითხავთ დედა, მამა გყავსო, ერთზე-მეორეზეც ერთსა და იმავეს ამბობს „მოკდაო“.

◆ დიდძალი გამოქცეული მოაწყდა გორს ჯავახეთ-ახალციხიდან. ბინის შოვნა ძნელი შეიქმნა. თუ იშოვება სადმე, ქოხს, წინად რომ 1 მან. იყო გაქირავებული 15—25 მან. აფასებენ. ქალაქის გამგეობა ურიგოს არ იზამდა საარტილერიო ყაზარმები, სადაც ტყვე ოსმალონი იყვნენ მოთავსებული, გაესუფთავებინა და გამოქცეულთათვის იქ მიეცა ბინა. ამით ბინის კრიზისსაც ავიცდენდით თავიდან და თვითონ საყაზარმო შენობებიც შეინახებოდა, ეხლა კი,.. ეხლა ამოდება შენობები პარტახად არის გადაქცეული, უკარ ფანჯრო. ზოგან ქურდ-ბაცაცები ფანჯრის ჩარჩოებს და მინებს აძრობენ და მიაქვთ შინ.

◆ გამოქცეულთა წყალობით იქმნება პურის დიდი კრიზისი, ფურნეების წინ „კუდეებში“ დილის 11—12 საათიდან დგებიან და მაშინაც ზოგი ხელცარიელი ბრუნდება უკან.

◆ გარდაწყვეტილია მოიწვიონ ამ მოკლე ხანში გორის რაიონის კოოპერატივთა წარმომადგენლები და კოოპერატივთა სარაიონო კავშირი დაარსონ. ეს აზრი გორის კოოპერატივის წევრთა წლიურმა კრებამაც ერთხმად მოიწონა.

◆ უნავთობამ ძლიერ შეაწუხა ხალხი. მოვაჭრენი ნავთს ჩუმ ჩუმად ჰყიდიან, მაგრამ გირვანქას 2 მ.—2 მ. 50 კაპ., აფასებენ.

ამ დღეებში სასურსათო კომიტეტმა შაქარი მიიღო და მცხოვრებთ სულზე თითო გირვანქა დაურიგდა.

◆ „მანდილოსანმა“ უკვე გახსნა საფეიქრო სახელოსნო და სწავლა მუშაობაც დაიწყო.

◆ დიდი სიცხე დაიჭირა. მოსალოდნელია რაიმე სენის გაჩენა. ქალაქის გამგეობამ საჭიროა ქუჩები, არხები, ეზოები, ბები დაასუფთავებინოს. ზოგ ქიდან წყალს ბაყაყები ამოსდევს.

## საქ. სოც.-ფედ. პარტიაში

დღეს, ოთხშაბათს 3 ივლისს, ავლაბარში, წმ. მარინეს ეკლესიის ეზოში, სკოლის შენობაში გაიმართება საუბნო პარტიულ კრება. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი თემაზე; „გერმანია და საქართველო“ დასწრება არა წევრთაც შეუძლიანთ. კრება დაიწყება სად. სრულ ექვს საათზე.

—

ხვალ, ხუთშაბათს ივლისს, შესდგება კუკიის და წმ. ნინოს უბნის მორიგი სარაიონო კრება. მოხსენებას წაიკითხავს მთავარ კომიტეტის წარმომადგენელი. კრება გაიმართება სასულიერო სასწავლებლის შენობაში, ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 20. დასაწყ. სად. 7 საათზე.

ხუთშაბათს 4 ივლისს დანიშნულია ტფილ. კომიტეტის საფინანსო სექციის კრება. ბინა პარტიული კლუბი. დასაწყისი სად. 7 საათზე.

—

პარასკევს, 5 ივლისს ნაძალადევში შესდგება მორიგი პარტიული კრება. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი თემაზე: „ოსმალეთი და საქართველო“. შემდეგ კამათი. დასწრება გარეშებსაც შეუძლიანთ. დასაწყისი სად. სრულ 7 საათზე. ბინა ეკლესიის ეზო, სკოლის შენობაში.

## სომხური პრესა

**დაკარგული სატრფო.**

ჩვენი მომავალი თაობა, უეჭველია, სავსებით და ყოველ მხრივ დააფასებს რუსობის ხანას ჩვენს ისტორიაში და აღნიშნავს როგორც დადებითს ისე უარყოფით მხარეებს ამ ხანისა. ეხლავე შეიძლება თქვას კაცმა, რომ „დადებითი“ მხარე, როგორც არის მაგალითად საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, ოდნავადაც ვერ იქმნება იმოდენი, რომ დაფაროს ყველა ის უბედურება, რომელიც დაატყდა თავს ქართველ ერს რუსების შემოსვლით ჩვენში. მეცხრამეტე საუკუნე ჩვენი კულტურულად უკან დახევის ხანაა, როდესაც ქართველობამ კინაღამ მთლად დაკარგა ეროვნული სახე და ეროვნული შემოქმედების უნარი ასი წლის კრიზისის შემდეგ მხოლოდ ეხლა გვეძლევა საშუალება აღვუდგინოთ სკოლას, სასამართლოს და ადმინისტრაციას თავისი ბუნებრივი, ქართული სახე მხოლოდ ეხლა ვუყრით საფუძველს ჩვენს უმაღლეს სასწავლებელს, მხოლოდ ეხლა იწყებს ტრიალს ერთი საუკუნის განმავლობაში შეჩერებული ჩვენის სახელმწიფოს ბორბალი.

ამიტომ რუსეთიდან ჩამოშორება ქართველობისათვის ისე მძიმე არ არის როგორც სომხებისათვის, რომელთაც რუსეთიდან ჩამოშორება ვეება ლოდივით რასწოლიათ გულზე.

„უკეთუ ჩვენი ხვედრია რუსეთიდან ჩამოშორება, სწერს ს. ვრაციანი „ლრაბერში“ ჩვენთვის იქნება უბედურება, რომელსაც ისტორია ჩვენდა უნებურად გვატეხს თავზე. ჩვენ ბევრი უბედურება გვინახავს და ამასაც გაუძლებთ, მაგრამ სულიერად დატანჯული ვიქნებით და მწუხარენი და როგორც დაკარგული სატრფოს ხსოვნა, ისე რუსეთის ხსოვნა- ისე რუსეთის ხსოვნაც წარსული დარჩება სომხის დემოკრატიის გულში. ის საუკუნე, რომელ საუკუნეშიაც სომხის ერი რუსეთში ცხოვრობდა, ყველაზე უფრო ბრწყინვალე ხანა არის სომხეთის ისტორიაში უკანასკნელ საუკუნოების განმავლობაში“.

## ნახევარი წლის თავი

ამ ორი დღის წინად შესრულდა ნახევარი წელიწადი რაც თვალი დახუჭა, ქართველი მშრომელი ხალხის მესაიდუმლემ და მისთვის თავ დადებულმა გმირმა კიტა აბაშიძემ.

მან მთელი სიცოცხლე სახალხო საქმეს შეალია მშრომელი ხალხის სარგებლობისთვის მთელი ძალღონით ებრძოდა ზოგიერთ უკუღმართ პოლიტიკოსებს. და ის ამ ბრძოლაში დაეცა იმ დროს, როცა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ფორმას ღებულობს. აი ამ დროს მოსტყუდა ქართველი ერის კულტურას საუკეთესო ფრთა, რომელიც ფართოდ უნდა გაეშალა ქართველი ერის კეთილდღეობისათვის.

დადუმდა ის ტკბილი მჭერმეტყველი ბაგე, რომლის სიცოცხლე ისე ძვირფასი იყო ქართველი ერისთვის. ამხანაგო მუშებო! ვიგლოვოთ ნახევარი წლის თავი, რადგან დავკარგეთ ჩვენი ერთგული მასწავლებელი და მშრომელი ხალხის გზის მაჩვენებელი კიტა!

მას ნათლად ქონდა დახატული ქართველი ერის გზა. როცა ამ გზისკენ გვითითებდა, უარს ვყოფდით, არ უჯეროდით, რადგან ჩვენს გულში ადრე იყო ეროვნული შეგნება და სიყვარული ჩაკლული. ვაწამეთ, დავსაჯეთ იყო დრო, როცა ჩვენს მოძღვარს სდევნიდენ სიტყვა საქართველოს ნუ ხმარობ—მაგრამ დღეს ცხოვრებამ ძალა უნებურად მიუთითა ამ გზისკენ მთელ ქართველ ერს. დღეს ვიცით, ყველას სწამს და უყვარს—ქართველი მშრომელი ხალხი და შიტრფის დამოუკიდებელ საქართველოს. დღეს ისიც ტკბილად ახსენებს საქართველოს რომლის სიტყვა საქართველო მთელ მის სიცოცხლეში ამ ბაგეს შეცდომითაც არ წამოცდენია. ძვირფასო მოძღვარო შენ არ დაივიწყდები მადლიერ ერს და ისტორიას არამც თუ ექვს თვეს არამედ საუკუნეთა განმავლობაშიც.

ტკბილ ენიანო მასწავლებელო! ჯერ არ არის კიდევ ის დრო, რომ ჩვენ მუშები მოვიდეთ შენს საფლავთან და ჩამოვძახოთ სამარეში სრულებით საქართველოს ბედნიერება. და როცა კი დადგება სანეტარო წუთი, გამარჯვება ქართველი მშრომელი ხალხის, ხელ ჩაკიდებული მუშები მოვლენ თქვენს წმინდა სამარესთან თქვენგან აღმართულ წითელ სპეტაკი დროშით. მარმარილოს ქვას ასწევენ და ჩასძახებენ: არჩილ, გიორგი, კიტა! გაიმარჯვეთ თქვენი ნაღვაწით თქვენგან ნაჩვენები გზით. აღსდგა საქართველო მკვდრეთით.

ეს იქნება თქვენთვის დამატკბობელი საგალობელი.

**მუშა ეგნატე ნავარძელი.**

## საქართველოს რესპუბლიკის მოხელეთა ყრილობა.

ქართულ კლუბის დარბაზში ივნისის 30-ს სპ. ბაქრაძის თავმჯდომარეობით კრება ჰქონდა სრულიად საქართველოს რესპუბლიკის დაწესებულებათა მოხელეების წარმომადგენლებს. კრებამ, რომელსაც დაესწრო 100-ზე მეტი წარმომადგენელი მოისმინა ამბავი კათალიკოსის კირიონ მე II გარდაცვალების შესახებ და ფეხზე ადგომით პატივი სცა მის ხსოვნას, განსახილველ საკითხთაგან პირველად კრებამ მოხსენება განიხილა მოხელეთა კავშირის საბჭოს მოქმედების შესახებ. შემდეგ ვრცელი და საყურადღებო მოხსენება წაიკითხა კავშირის წევრმა ბ-ნმა ჯაფარიძემ კავშირის მიზნის შესახებ. მომხსენებელმა ვრცელ თავის მოხსენებაში ის აზრი გაატარა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დიდი საზოგადოებრივი ველი აწყება რესპუბლიკის მოხელეებს და ამათგან უპირველესად ქართველ მოხელეობას. ქართველი მოხელეობა ეს ის მასალაა, რომელიც რესპუბლიკის მთავრობას გამოადგება საფუძვლად სახელმწიფოებრივ მთელის რესპუბლიკის ორგანიზმის განსამტკიცებლად. ახლო მომავალში მთავრობა შეუდგება ყველა სახელმწიფოებრივ და საზოგადო დაწესებულებათა გაეროვნებას და ამ გარდამავალ ხანისთვის ქართველმა მოხელეობამ უნდა გაათავისუფლოს თავისი [illegible] რომ მთავრობამ [illegible] შესძლოს ძველის-ბიუროკრატიულ წესწყობილებიდან ახალ-ეროვნულ ნიადაგზე გადასვლა და შეუდგეს მტკიცედ სადმიშენებლო მუშაობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას. მოხსენების დასკვნად ბ-ნ ჯაფარიძემ კრებას წარუდგინა შემდეგი თეზისები: 1, აღიძრეს შუამდგომლობა მთავრობის წინაშე დაუყოვნებლივ სახელმწიფოებრივ ენად გამოცხადდეს ქართული ენა რესპუბლიკის ყველა დაწესებულებებში, 2, შეუდგენ ახლო დროშივე ყველა დაწესებულებათა გაეროვნებას 3, დაშლილ იქნეს ყველა კომიტეტები, რადგანაც იგინი შესდგებიან რესპუბლიკის მოწინააღმდეგე ელემენტებისაგან და ნაცვლად არჩეულ იქმნენ ახალი ელემენტების შემადგენლობანი, 4, გაძლიერებულ იქნეს თვალყურის გდება დაწესებულებებში, რადგანაც ამ გარდამავალ ხანაში ძლიერი ხელმრუდობაა საზოგადო სახელმწიფო ქონებათა მისათვისებლად და გასაფლანგავად, 5, გამოცხადდეს კანონი საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომობის შესახებ, რომ საბოლოოდ გამოირკვეს ვინ არის ჩვენთან და ვინ წინააღმდეგი ჩვენის თავისუფლებისა. ამ თეზისებმა კარგა ხანს თათბირი გამოიწვია წევრთა შორის, რომლის დასასრულს ყველა წინადადებანი უცვლელად იქნენ მიღებულნი და დაევალა კავშირის საბჭოს შეასრულოს როგორც ჯერ არს კავშირის საზოგადო კრების დადგენილება.

ამავე სხდომაზე განხილულ იქმნა მოხელეთა კავშირის სახელმძღვანელოდ შედგენილი პროექტი წესდებისა. პროექტი მცირე შესწორებით დამტკიცებულ იქმნა. მიმდინარე საკითხთაგან განხილულ იქმნა მოხსენება იმის შესახებ, რომ შესდგეს რესპუბლიკის მოხელეთაგან ძლიერი რაზმი, რომელიც მუდამ მზად იქნება მთავრობის განკარგულებაში გარეშე თუ შინაურ მტერთა დასამხობად. კარგა ხანს თათბირის შემდეგ კრებამ დაადგინა დაევალოს კავშირის საბჭოს შეიმუშაოს მოხსენება თუ როგორ შეიძლება განხორციელება აღნიშნულ წინადადებისა. კრების დასასრულ არჩეულ იქმნა საგუბერნიო ხაზინადარი ა-ნი ვლადე, კორინთელი კავშირის საბჭოს წევრთა შესავსებად და საბჭოს წევრთა ექვსი კანდიდატი.

## ზოგი რამ

ისტორიული მასალები ცხადჰყოფს, რომ საქართველოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობა არ სწარმოებდა ისე, რომ ყველაფერი ყოფილიყვეს მეფის ნებისამებრ, თუმცა მეფე ითვლებოდა განსახიერებად სრული უფლების, ან **ხელმწიფებისა** (ხელ უფლება, მწიფე —სრული), მოკლედ **ხელმწიფედ**, რაკი რომაულ სამართალში **მანუს**—ხე-

## საქართველოს ახალი განცდა

საქართველოს სახაზო დელეგაციის მოლაპარაკებამ ოსმალეთის წარმომადგენლებთან მეტად სამწუხარო შედეგი გამოიღო: საქართველოს მოსწყდა მთლიანად ახალქალაქის მაზრა და ნაწილი ახალციხის მაზრისა. ამ ორ რაიონს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებისათვის; ამ ორი რაიონის ჩამორთმევა ბევრად შეაფერხებს ჩვენი ცხოვრების სათანადოთ და ბუნებრივად განვითარებას.

ბათომის წაგლეჯა იმდენად საგალალო და თავსაცემი არ იყო, როგორც ამ ორი პროვინციის დაკარგვა, ვინაიდან ნაწილი შავი ზღვისა ჩვენ ხელშია და, მაშასადამე, ჩვენ უზრუნველყოფილნი ვართ, რათა პირდაპირი კავშირი ვიქონიოთ დასავლეთ ევროპასთან; ამ გზით ჩვენ შეგვიძლიან კულტურულ ქვეყნებიდან შემოვიტანოთ და შევითვისოთ ის, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ცხოვრების წარმატებას და მივაწოდოთ ის, რაც შეგვიძლიან გავიტანოთ მსოფლიო ბაზარზე და მივუმატოთ სხვა ერთაგან კულტურულ განვითარებას ის, რასაც შექმნის ქართველი ხალხის გენია. ვიმეორებ, ამის გზები კიდევ დაგვრჩენია შავ [illegible] თუ კი რაიმე უნარს გამოვიჩენთ, [illegible] თუ კი გადავარჩენთ საქართველოს დამოუკიდებლობას და თუ კი [illegible] ქართველ ერს ფიზიკურ განადგურებისაგან ამ შავ-ბნელ დროის ამ ისტორიულ ნაღვარისა და ქარცეცხლის მომენტში.

ოსმალეთი მეტად ხელოვნურად იქცევა საქართველოს ტერიტორიის ნაწილების წაგლეჯაში. ბათომში დაბინავებით იგი ღრმად შეიჭრა დასავლეთ საქართველოში და თავის თავს ბატონად გრძნობს ამ მხარეში; ახალციხის გზით იგი ემუქრება ქართლს; ხოლო ახალქალაქის მაზრის დაჭერით ოსმალეთმა უფრო დიდი საქმე გააკეთა: ოსმალეთი ბანაკდება ტფილისიდან დაახლოებით ასი ვერსის მანძილზე, რაც საქართველოს დედა-ქალაქისათვის წარმოადგენს საფრთხეს ყოველ წუთში. ამასთან ერთად, ოსმალეთს სხვა შესაძლებლობაცა აქვს გამონაგარიშებული. დღეს ჩვენსა და დაღესტანს შორის დიდი ბუნებრივი ზღუდეა აღმართული,—ეს კავკასიონის მთა-გრეხილია. მიუხედავად ამისა, ადვილად მოსალოდნელია, რომ დაღესტანიც შემოიჭრება საქართველოს ტერიტორიაში. ეს მოხდება მაშინ, როდესაც ჭარ-ბელაქანი შეუერთდება დაღესტანს, რაც არც თუ ისე ძნელი წარმოსადგენია. ჯერ ისევ 1909 წ., როდესაც ტფილისში მოხდა ერობის შემოღების შესახებ ყრილობა, დაეტყო ჭარ-ბელაქნის წარმომადგენლებს ტფილისის გუბერნიიდან გამოთიშვის ტენდენცია. რევოლუციის დროს ხომ მათ ეს აშკარად გამოთქვეს. ამნაირად, მუსულმანთა ერთ-ერთი დიდი ჯგუფი, აღმოსავლეთ საქართველოს მხრიდან საკმარისად ღრმად შემოიჭრება ჩვენს ტერიტორიაში, სახელდობრ, სიღნაღის მაზრაში. და თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯარის სამხრეთით, ივრის მხარეს, ბინადრობენ თათრები (სოფ. გულდარა, მუღანლო და სხვა), მაშინ მოსალოდნელია, რომ ჩვენ ჩამოგვაჭრიან შირაქის მინდვრებსაც. ამ შემთხვევაში, ოსმალეთის მომხრე ჯგუფები თავიანთ მიჯნებს მიიტანენ სიღნაღის კარზე. ეს უკანასკნელი გარემოება ჩვენ მესაქონლეობის მეურნეობას მიიყვანს მინიმუმამდის, თუ არ სიკვდილამდის. ხოლო ზამთრის საძოვრების ხელიდან გასვლა ნიშნავს მთის საძოვრების გაუქმებას, უსარგებლოდ დარჩენას.

ამ რიგად, ოსმალეთმა კარგად იცოდა, რომ, თუ ის გამარჯვებული იქნებოდა, მაშინ დაღესტანიც წიხლსა ჰკრავდა საქართველოს. ეს ჯერ არ მომხდარა, მაგრამ აღსრულდება, თუ ქართველმა ერმა თავის თავს არ მოუარა.

საქართველოს ტერიტორიის ამ უნუგეშო სახეს დაურთოთ ერთიც, ეს—ოსების მისწრაფება, რათა ოსეთის მიჯნა გადმოიტანონ საქართველოს მიწა-წყალზე.

ყველაფერს სხვას, რაც შეეხება ამ საკითხს, თავს ვანებებ და ვეკითხები მკითხველს: წარმოუდგენია მას, თუ არა, რა სახეს იღებს ამ შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიის საზღვრები? საქართველოს მიწა-წყალი წარმოგვიდგებათ უხეშად, ტლანქად დაფლეთილი, დაკუწული ტერიტორიად!.. და კიდევ ვეკითხები: განა შესაძლებელია ამ გვარ მიჯნებში საქართველომ შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა?

მივანდობ—რა ამ საკითხის გადაწყვეტას,—თუმცა ჩემთვის აშკარაა,—სტრატეგებს, დავუბრუნდები ისევ ახალქალაქის და ახალ ციხის მაზრას.

ამ ორი რაიონის ერთ განსაკუთრებულ მხარეს უნდა მიექცეს ყურადღება. ამ ორ მაზრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც საკოლონიზაციო ადგილებს. შიდა კოლონიზაციის საჭიროება ბევრი ხანია არსებობს ჩვენში. ჩვენი ხალხის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში გადასახლება, ჩვენი მიწა-წყლის ახლად განაწილება,—ეს საკითხი დიდი ხანია, რაც მოსწიფდა და თხოულობს ახლო მომავალში თავის გადაწყვეტას. თუ ეს საკითხი აქამდის არც კი იყო აღძრული სერიოზულად, თუ ეს საკითხი აქნობამდე არ გამხდარა სისტემატიურ სჯა-ბაასის საგნად, ეს წარსულ რეჟიმის ბრალია. ყველას მოეხსენება, რომ რომანოვების მთავრობა,—ეს გარეგნულად ევროპიული, ხოლო სულით და გულით აზიური მართველობა,—სულ იმ ცდაში იყო, რათა შინ და გარედაც ეწარმოებინა აგრესიული პოლიტიკა და რუსეთში მცხოვრებ ერთა შორის გაეღვივებინა ნაციონალისტურ-შოვინისტური მისწრაფებანი. სწორედ ამით აიხსნება საქართველოს მიწა-წყლის დარიგება უცხო ტომელებისთვის. და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც საქართველოს მკვიდრი მცხოვრები სიღატაკის მორევში სულს ჰლაფავდა. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ გადმოსახლებულ რუსებს აბორიგენები ყველგან უყურებდნენ ზიზღით და შურისძიების თვალს არასდროს არ აშორებდნენ მათ. რუსეთის ყოფილმა დამპალმა მთავრობამ, სადაც თვით რომანოვები მეორე ხარისხის როლს თამაშობდნენ, კარგად იცოდა, თუ ხალხის მოქმედების რომელი მხარე აემოძრავებინა,—ეს შური მტრობა... და ამ მიზანს შესანიშნავის სისწორით და სისტემით აღწევდა, რაც დასთესა ნიკოლოზ უბედურის მთავრობამ გადმოსახლების პოლიტიკით,—ის—საუბედუროდ სხვებმა მომკეს. დაემხო თუ არა ძველი მთავრობა, მაშინვე თავი იჩინა მოძრაობამ გადმოსახლებულ რუსების წინააღმდეგ. ყველას ეხსომება ის შემაძრწუნებელი და ღრმად დამაფიქრებელი ამბები, რომელიც მოხდა მუღანში თათრებსა და რუსებს შორის. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ გადმოსახლებულ რუსებს დანაშაული არ მიუძღვით მათ მუღანის ველზე დასახლებაში. მაგრამ ეს შეტაკება იყო ბუნებრივი დასკვნა ძველი მთავრობის აგრესიული პოლიტიკისა კოლონიზაციის საკითხში.

საქართველოში ჯერ ამის მაგვარი არა მომხდარა-რა და ნურც მოხდება. ამის ასაცდენი უნარი და ძალა შეგვწევს და უნდა ავიცდინოთ კიდეც.

ეს ორიოდე სიტყვა კოლონიზაციის შესახებ მომაგონდა იმიტომ, რომ ჩვენ დიდის სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ხელი, რადგან ეს საკითხი მეტად რთულია.

დიაღ, გადასახლებ გადმოსახლების საკითხი, დღეს თუ ხვალ, მთელის თავის სიმწვავით იქნება წამოყენებული ჩვენი ცხოვრების მიერ.

რა პასუხს გასცემს ამ მოვლენას საქართველოს ნორჩი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა? ერთად-ერთი პასუხი—შიდა კოლონიზაცია აუცილებლად უნდა მოხდეს. მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ, გვაქვს თუ არა, თავისუფალი ადგილები? რომელ კუთხიდან გადავასახლოთ და რომელ ადგილზე? შევუფარდოთ თუ არა საკოლონიზაციო ნაწილის ზნე-ჩვეულება, მეურნეობა, მის რაიონის ჰავა ახალ თავისუფალ ადგილის ტოპოგრაფიას, წყლებს და სხვა. ბევრი ამგვარი საკითხები დაიბადება, თუ ფართოდ შევხეთ კოლონიზაციის საკითხს.

საქართველოს სხვა და სხვა კუთხეები ერთნაირად არ არის დასახლებული ხალხის რაოდენობის მხრივ. დასავლეთი საქართველო უფრო მჭიდროდაა დასახლებული, ვიდრე საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი. თავისთავად აშკარაა, საქართველოს დასავლეთი მხარე მოითხოვს, რომ მისი ერთგვარი ნაწილი იქმნას სადმე გადასახლებული. დასავლეთ საქართველოზე აღარას ვიტყვი. დღესდღეობით მე მაინტერესებს საქართველოს სხვა კუთხე, რომელსაც დიდი მსგავსება აქვს როგორც ბუნების მხრივ, ისე მეურნეობის დარგებშიაც ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებთან, მეტადრე ამ უკანასკნელთან. მე მოგახსენებთ ქართველ მთიელებზე. ყაზბეგის მთაკვანძიდან დაწყებული დილთ საზღვრებამდე მოსახლეობენ ქართველი მთიელნი. თუ რა ადგილებში ბინადრობენ ესენი, რა ცხოვრება აქვთ მათ, ანდა კულტურის მხრივ რა ღირებულებას წარმოადგენენ,—ეს ცხადია იმისთვის, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ამ თემების მიწა-წყალი და ყოფა-ცხოვრება. ვისაც თავის თვალით არ უხილავს ყველა ეს, იმას უთუოდ წაკითხული ექნება ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა, საიდანაც გაიგებდა, რომ ამ მთიელებს ოდესღაც „მთის არწივებს“ ეძახდნენ და იმასაც ამოიკითხავს მათ ნაწერებში, რომ ეს განთქმულნი გმირნი ბარის საქართველომ ბუნების ამარა დასტოვა. მე, რასაკვირველია, ამით საყვედურს არავის ვაძლევ; დღეს არც არის დავის დრო და თუ დავაზე მიდგება საქმე, მაშინ სხვა ლაპარაკი გვექნება.

აღნიშნულ ფარგლებში ბინადრობს ქართველი ერის ექვსი თემი—მოხევე, გუდამაყარი, მთიული, ხევსური, ფშაველი და თუში, რიცხვათ 50—60 ათასი სული, იმათ უჭირავთ საკმარისად დიდი ადგილები, მაგრამ სრულიად უვარგისი კულტურისათვის. ამის გარდა, მომეტებული ნაწილი ამ მთების უჭირავს კლდე-ღრეებს, და სასარგებლო ადგილები კი ძალიან ცოტაა,

ლი უფლებასაც აღნიშნავდა, შესაძლებელია, ასეთი შეხედულება ჩვენში დამკვიდრებულიყვეს რომაული სამართლის გავლენით. სამი შემთხვევა გვაქვს კიდევ პოლიტიკური სამართლისა, როცა ხელი აღნიშნავს უფლებასაც პირველია ხელის გამოღება, ხელის გამოღება ისეთი მოქმედებაა, როცა მავანს ჰსურს, გამოიყენოს უფლება, უმჯობესია ვსთქვათ სიმართლე (იუს), რომელიც მისთვის მიუნიჭებია სჯულმდებლობასა, ამისთვის როცა იტყვიან, ხელი გამოიღოო, არ უნდა გავიგოთ ფიზიკურის აზრით, როგორც მდაბიოს ჰგონია, არა! ამ გამოთქმის ფარდია რუსული ზაიავიტ ისვოემ პრავე, პრედიავიტ სვოი პრავა ესევე ითქმის ხელის აღებისთვის. ხელის აღება აღნიშნავს ისეთ მოქმედებას, როცა მავანს არა ჰსურს უფლების გამოყენება. ამის ფარდია რუსული ვოზდერჟატსია, ოტკაზატსია ოტ პრავა და სომხური ძერკ პაჰელ-ხელის შენახვა უკანასკნელი შემთხვევა არის, როცა იტყვიან, რა ხელი აქვსო.

სახელმწიფოს განგებდა თუ პირდაპირ არა, რჩევის მიცემით მაინც აგრეთვე ერი, უნდა ვიფიქროთ უმაღლეს წოდებათა წარმომადგენლების ყრილობა, რომელსაც მეფე მოიწვევდა თავის დარბაზსა სახელმწიფოს საქმეთა განსახილველად. აქედან წარმოსდგა **დარბაზის ერი**, რომელიც დროთა განმავლობაში გაჰხდა **დარბაისელი**. (დარბაზის ერი, დარბაისერი). დღეს დარბაისელი და დარბაისლური სინონიმია ზრდილობიანი ქცევის და სიტყვა-პასუხისა. დარბაზს ეწოდება **პარლამენტი**, სადაც თავს იყრიან ხალხის წარმომადგენელნი. პარლამენტი აღნიშნავს საბჭო ადგილს, ან ბჭეთა ყრილობას. ძველ საქართველოში დარბაზს გარდა იყო აგრეთვე **სალაყბო** გადაშლილ ცის ქვეშ ბერძენთ **აგორას** და ლათინთ **ფორუმის** მსგავსად. ტფილისში ასეთი სალაყბო იყო იმ ადგილს, სადაც ეხლა ბაღჩაა გაშენებული კათალიკოზის სასახლის წინ.

პარლამენტის წევრნი უნდა იყვნენ ნამდვილნი დარბაისელნი, ხოლო მათი სიტყვა-პასუხი დარბაისლური. ჭეშმარიტი დემოკრატობა დარბაისლობის სინონი უნდა იყვეს, მაშასადამე დემოკრატობას უნდა ჰხატავდეს მხოლოდ დემოკრატიის ინტერესის დაცვა, რაიც უნდა გამოჰკრთოდეს ყოველი მჭერმეტყველის სიტყვა-პასუხში და არა [illegible] ჩაცმა-დახურვას, როგორც ჰგონია მოსკოვის რუსთა რესპუბლიკის ბერლინელ ელჩს იოფფეს, რომელიც უცნაური ჩაცმულობით ირჩევა სხვა ელჩებში. სიტყვა-პასუხი კიდევ კულტურული უნდა იყვეს, როგორც მიღებულია უცხო ქვეყნის განათლებულთა ყრილობაში. დეპუტატს იმდენი თავმოყვარეობა უნდა ჰქონდეს, რომ სალაპარაკოდ ემზადებოდეს და აზრების დალაგებასთან ერთად მათი ფორმის გარანდვაც თავს იდოს, კარგი ფორმა აზრს აცხოველებს და შთაბეჭდილებასაც უფრო ძლიერს სტოვებს დარბაზის ერზე. მართებლობაც მოვალეა, რომ ენა იმ სჯულდების პროექტის, თუ მისი განმარტებითი წერილისა, რომელიც უნდა მოხსენდეს დარბაზის ერს, გამართული იყვეს ქართულად.

პარლამენტი არ უნდა იყვეს უკულტურობის ბუდე. დეპუტატი სცდება თუ ჰგონია რა კი რუსული სწავლა-განათლება მიუღია, ის ჰკმაროდეს ქართული კულტუროსნობისთვის. ბევრი მინახია აკადემიელ უნივერსიტეტელი ქართველი, ხოლო ქართულად ყოვლად უცები, სამწუხარო იქნება თუ ჩვენს პარლამენტსაც დასჩემდა ქართული უკულტურობა, ქართული უცებობა, რომლისგანაც ჯერ კიდევ მთლად ვერ განთავისუფლებულა ჩვენი თეატრი. ის შთაბეჭდილება გამოვიტანე დარბაზიდგან, რომ დეპუტატის სიტყვა დაბეჭდილი უკეთესია, ვიდრე წარმოთქმული. მცირე გამონაკლისს გარდა, რაიც ნაყოფია იმ გარემოების, სადაც დეპუტატი აღზრდილა.

* * *

რამდენადაც საჭიროა სახელმწიფოს არსებობისათვის საიმედო საზღვრებით მისი შემოფარგვლა, იმდენადვე მიუცილებელია მისთვის მის მცხოვრებთა მოქალაქობის განსაზღვრა და საზოგადოებრივ დაწესებულებაში სახელმწიფოებრივი ენის შემოღება.

რაც შეეხება სახელმწიფოს საზღვრების საკითხს, მართებლობას სახელმძღვანელოდ მიუჩნევია სტრატეგიული, ეკონომიური და მინიმუმ ისტორიული პრინციპიც. მაგრამ მოქალაქობის და სახელმწიფოებრივი ენის საკითხი ჯერ ხანად გადაუწყვეტელია. იმასობაში კი იურიდიულად შეუძლებელია მოჰხდეს რამე არჩევანი ან საზოგადოებრივის, ან სახელმწიფოებრივის ხასიათისა, როგორც მაგალითად მუნიციპალიტეტის, ერობის და დამფუძნებელი კრებისა, ან დაარსება კავშირ საზოგადოებისა. შეუძლებელია გამოცხადებული მობილიზაცია მოჰხდეს რესპუბლიკის ყველა მცხოვრებთათვის სავალდებულოდ და ჩვენ იძულებულნი ვიქმნებით მანამდე რესპუბლიკის ჯარი ისევე, როგორც სახალხო გვარდია შევადგინოთ მხოლოდ ქართველთაგან. მოქალაქობის საკითხის გადაუწყვეტლობისაგან საკმაოდ ვიწვნიეთ. ქალაქის გამგეობის, სურსათის საწყობის გადაწვის, ჰაეროპლანის გაფრენის, სამხედრო მინისტრის ყალბის ხელწერილით ფულის მიღების, ზოგიერთი სომხურ რუსული გაზეთის ტონის და სხვა ამბები კმარა მის საბუთად, რომ მოქალაქობის დეკრეტი დაუყონებლივ უნდა გამოიცეს.

ეს გარემოება რამდენადმე უშველის კიდეც საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა გაეროვნულების საქმეს, მაგრამ ქართული ენის გამოცხადება სახელმწიფოებრივ ენად მეტად საშურია. შეიძლება სთქვან, ქართული ენის სახელმწიფოებრივი უფლება თავის თავად იგულისხმება საქართველოს სახელმწიფოში, ან გადასდონ სახელმწიფოს კონსტიტუციის შემუშავებამდე, მაგრამ ასეთი დეკრეტი ქართულად საქმის წარმოების მცოდნე მოხელეობას ღონისძიებას მისცემს კანონიერად შეუდგეს საქმეს, თორემ მისწრაფება ისეთია მათ შორის, რომ რევოლიუციონურად განახორციელებენ ქართული ენის უფლებას ქართველთ სახელმწიფოში.

პეტრე მირიანაშვილი.

# მოსავალი კახეთში

სასურსათო სამინისტროს განკარგულებით კახეთში გაგზავნილი იყო საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე აგრონომი სერგო ალ. დანდუროვი, რომელსაც დაევალა მოვლა ამ კუთხისა და გამორკვევა თუ როგორი პირი უჩანს მოსავალს და რამდენად უზრუნველყოფილი იქნება ხალხი საკუთარი პურნახულით. ბ-ნი დანდუროვი უკვე დაბრუნდა ტფილისში და ვრცელი მოხსენება წარუდგინა სასურსათო სამინისტროს. მისი გამოკვლევით, თიანეთის მაზრის ერთს ნაწილში, რომელიც მას მოუვლია, თელავისა და სიღნაღის მაზრებში მოსავალს მშვენიერი პირი უჩანს. პური უკვე სიმწიფეშია და მალე მკასაც შეუდგებიან. ნათესობა წელს ორჯერ იმაზე მეტია ვიდრე იყო წინა წლებში; პური იმდენი მოუვა ხალხს თვით შეუძლიან გამოკვება, დარჩება სათესლე და ზედმეტი კიდევ იმდენი რომ თამამად შეიძლება კახეთიდან პური სხვა მოუსავლიან რაიონებისათვისაც იქნეს გამოზიდული. ქერი უკვე მომკეს მშვენიერი გამოსავალი აქვს თურმე. კარგი მოსავლისათვის ყურადღება მიუქცევიათ სპეკულიანტებს, რომელნიც მოსდებიან სოფლებს და ბევრგან ბედ ფუთს პურზე, 50 მ. დაუტოვებიათ. რომ აილაგმოს მოვაჭრე მოვახშენი, დანდუროვის ექსპედიციას ადგილობრივ ადმინისტრაციის დახმარებით ღონისძიებანი უხმარია, სასურსათო სამინისტროს განკარგულებით ფუთ პურზე ბ-ნ დანდუროვს ბევრგან ბედ 30 მ. დაუტოვებია იმ მოსაზრებით, რომ შემდეგ ღირებულობის კვალობაზე შესწორდნენ. ბ-ნს დანდუროვს მოუხდენია სასოფლო ყრილობები. ყრილობებზე გამორკვეულა, რომ ხალხი დიდის სიამოვნებით პურს გადასცემს მთავრობას თუ მათ მიაწვდიან მანუფაქტურას, მარილს, რკინეულობას, ფოლადს და სხვა ამ გვარ მასალას. გლეხებს უთქვამთ ოღონდ ეს მასალა მოგვაწოდეთ და პურის ნაკლებულობის ნუ გეშინიათო. დანდუროვს აღუთქვამს მასალის მოწოდება კოოპერატივების საშუალებით. რომ ხელი შეეშალოს ვაჭარ-მოვაჭრეთა თარეშს სოფლის ყრილობებს დაუდგენიათ აეკრძალოთ ერთი სოფლიდან მეორეში მოსავლის გადაზიდ-გადმოზიდვა. მუშა ხელი ძლიერ ძვირია სოფლად, ამ მდგომარეობის შესამსუბუქებლად გადაწყვეტილია ხალხს მიაწოდონ სალეწი და სხვა მანქანები.

# პროვოკატორები

ამ ხალხს ჩვეულია დიდი ხანია ჩვენი პატარა საქართველო. ასი წლის ბატონის წყალობით პროვოკატორი იყო მოკალათებული ყოველ ჩვენს დაწესებულებაში, სკოლაში, ეკლესიაში, საზოგადოებაში და ჩვენი ცხოვრება, ეროვნული ცხოვრება, თუ კი მას ეროვნული კიდევ რაიმე შერჩენოდა, უკუღმართად მიიმართებოდა. წყლულიანი და იარიანი ცხოვრება, როგორც იყო, თავიდან მოვიწყვიტეთ და თავისუფლებას, თავისუფალ ცხოვრებას ვეზიარენით. საქართველო წელში სწორდება და ძალას იკრებს საშემოქმედო მუშაობისთვის. მაგრამ ჩვენი გაახატება აგრე რიგად არავის ესიამოვნა და ყველამ კბილი მოიმარჯვა ჩვენდა სავნებლად, იმანაც კი, ვისაც ჩვენს პურ ქვეშ საუკუნეები გაუტარებია, მადლისა სიკეთის მეტი ჩვენგან არაფერი უნახავს, და, მაშასადამე, ჩვენდამი მხოლოდ მადლობა უნდა ეგრძნო და და ჩვენს სიხარულს იმისთვისაც შეება ეგრძნობინებინა. არა, საქართველო საწყალი ფერი ყოფილა თურმე მხოლოდ და ყველა ჩვენს პურს შემოფარებული—მის ძუძუების პარაზიტი. იყო საქართველო ენა-ჩაგდებული და მდუმარე, სწოვდნენ მის სისხლსა და დოვლათს კმაყოფილი, ამოიღო ხმა საქართველომ და ადამიანურად ამოისუნთქა—ყველა გაუდგა და მის საწინააღმდეგოდ ენა და ცილავი აალაპარაკა: ცხინვალი, გორი, ბაქო, სოხუმი, სამეგრელო და სხვ. თავისი ამბებით ამაზე ხმა-მაღლა ჰმეტყველებს. რას მიქვია ერი, ეროვნება, ეროვნული თავისუფლება, ყველანი ძმები ვართ, სამართლიანობისთვის ვიბრძვით და ამიერ-კავკასიის რაღაც დამოუკიდებლობაა თუ საქართველოს რესპუბლიკა იმპერიალისტურ მიზანს ემსახურება და სხვის შევიწროვებას, თავისუფლების შეზღუდვას ცდილობსო. მაგრამ თუ საქართველოს საზღვრებში მომხდარ ამბებს გამოვჩხრეკავთ, აქა-იქ რომა ჰხდებოდა ამბოხების სახით, დაინახავთ, რომ, პირიქით, შოვინიზმის მსახურნი ვითომდა თავისუფლებას ემსახურებიან, სამართლიანობას, ის ხალხი, ვინც ნამდვილი მტერია თავისუფლების და სამართლიანობისა, ის ხალხი, ვინც საქართველოს თავისუფლებას ვერ შერიგებია და ოღონდ საქართველოს ავნოს როგორმე და მზად არის ეშმაკსაც კი დაუმეგობრდეს. ეს პროვოკატორები, ეს სულის და სინიდისის გამყიდველები არა წითლდებიან და უკიდურეს სოციალისტების-ბოლშევიკების ქურქში გამოხვეულნი თავის ბნელ მიზანს ემსახურებიან. ვინ არ არის ეხლა ბოლშევიკი? ყველა, ვისაც კი ვერაფრად ეპაშნიკება თავისუფლება, ყველა, ვინც კი ჯალათ მეფის და შავ-ბნელ თვითმპყრობელობის წყალობით მუქთა და გემრიელ ლუკმას იყო მიჩვეული; ყველა, ვისაც კი ვისიმე ჯავრი სჭირს, ყველა, ვინც სხვის ჯიბის, სხვის დოვლათის მოყვარულია; ყველა; ბნელის მოყვარული და მოძულე ნათელის... იდეური ბოლშევიზმი? ნამდვილი ბოლშევიზმი? ნამდვილ ბოლშევიზმი ლენინმა როგორც თვითონ ჰშვა, ისე თავისივე ხელით დაასამარა. ბოლშევიკობა ეხლა ჯალათების ასპარეზია, ჯაშუშების, პროვოკატორებისა და ასეთი ბოლშევიკები ჩვენს მადლიან ქვეყანას დღეს უხვად მოსდებიან. ბევრი შეწუხება ნახა ამათგან საქართველომ, ახლო მომავალში ალბად უფრო მეტს ჰნახავს. ცხინვალი, სამეგრელო, სოხუმი და სხვ. ალბად კიდევ ბევრჯერ დაილაპარაკებს, ვიდრე ჩვენ, მთავრობა წელში კარგად არ გასწორდება და მათ მაგრად არ მოუღრეცს კისერს. სამეგრელო-სოხუმის შემდეგ ახლა დუშეთმა დაილაპარაკა. მთავრობამ, ანარქიის და უწესოების მოსპობის მიზნით, სოფლელებს იარაღი მოსთხოვა, მაგრამ ნაძირალებმა, „ბოლშევიკებმა" ეს საბუთად გამოიყენეს და ხალხი მთავრობის წინააღმდეგ აამხედრეს. მათ ეს არ იკმარეს და სხვებსაც მოუწოდეს ამბოხების ალამი აეფრიალებინათ. აი ამ დღეებში, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, დუშეთის მაზრის ერთ-ერთ სოფლის კომისარმა ვინმე ვ. ხარებაშვილმა თავის ხელმოწერილი წერილები დაუგზავნა მეჯვრისხევის კომისარს, ცხინვალში და სხვ. დუშეთის მაზრა სამართლიანობის დასამყარებლად ებრძვის მთავრობას, თავადების პარტია (ვითომ წითელი გვარდია) ებრძვის ხალხს, მიგვეშველეთ, ამბოხება მოახდინეთო. მე არ ვიცი რა გამოძახილი ჰპოვა ამ პროვოკატორულმა მოწოდებამ მეჯვრისხევში, ცხინვალში და სხვაგან, არც ის ვიცი ვინ არის ეს პროვოკატორი ხარებაშვილი ან ვისი ლოცვა-კურთხევით ჰკიდია კომისარის მეწკვი გულზე, ეს კი ცხადია, რომ ხარებაშვილები ჩვენს სოფლებში ბევრნი მოიპოვებიან და პროვოკაციის ანკესზე დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობით უკმაყოფილო ხალხს ადვილად წამოაგებენ. მთავრობის ვალია ოცი თვალი და ოცი ყური გამოიბას და სასტიკი, შეუბრალებელი ზომით ჩააქროს ყოველი ამბოხება, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ იქნება მიმართული, სასტიკად, შეუბრალებლად უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც შეეცდება წყალი აამღვრიოს და ხალხს მთავრობის წინააღმდეგ იარაღი აალებინოს, რომ თავისუფლება დაასამარონ და ძველი ბატონობა აღადგინონ. საქართველოს ისეთი იმედი და ტკბილი წუთი არასოდროს განუცდია, როგორც 26 მაისს განიცადა. როცა მონობას თავისუფლება არჩია და საკუთარი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ საქართველოს იმდენი მტერიც არა ჰყოლია არასოდეს, რამდენიც ამ 26 მაისმა შეძინა. უკიდურეს განსაცდელშია სამშობლო და თავისუფლება უკიდურეს განსაცდელსა და გასაჭირშია პატარა ქართველი ერი ან უნდა ყველა გავწყდეთ და მტერი არ გავახაროთ, ან თავისუფლებაზე ხელი ავიღოთ და ისევ მონობაში შევებათ.

პროვოკატორები ღვარძლსა და შხამსა სთესვენ მდაბიო ხალხში, მეტადრე სოფლად და თვის წარყვნილ გრძნობათ ზეიმს უმზადებენ. პროვოკატორები სოკოსავით მრავლდებიან და სამართლიანობასა და თავისუფლებას ნიადაგს უშხამავენ, მთავრობამ, ხალხმა ერთობის და თავისუფლებისა. უნდა ფრთხილად და ფხიზლად უდარაჯოს სამშობლოს და რევოლიუციას. ან თავისუფლება და ადამიანური, თავისუფალი ცხოვრება, ან გულ-გრილობა და სამარცხვინო მონობა, მონობა პროვოკატორების, შავრაზმელ-ბოლშევიკების-უღელ ქვეშ. ამათგან ერთი უნდა ავირჩიოთ ორი გზა არ არსებობს.

ხანგანიძე.

# ქალაქის საბჭო

ივლისის 1.

სხდომა იხსნება მეათე საათზე. თავმჯდომარეობს ლომთათიძე.

იგი თავის ვრცელ სიტყვაში მწუხარებით აუწყებს რუსეთის პირველ სოციალ-დემოკრატის, გამოჩენილ პუბლიცისტის და ფილოსოფოსის პლეხანოვის გარდაცვალებას. ჩემის რამდენიმე სიტყვით ვერ შევსძლებ გ. პლეხანოვის დახასიათებას. იგი მეტის

---

ისიც მაღალი სიმოვრები. ამ ადგილების ერთობ მცირე ნაწილი ზეიდგება სახნავ-სათეს მიწებს. აქ მოჰყავთ ქერი და ერთგვარი, მეტად უხეირო პური. არას დროს მთას თავისი პური არა ჰყოფნის; მთა ქრონიკულად ყოველ წლიწადს შიმშილს განიცდის. ამით და ბევრი სხვა მიზეზთა გამო აიხსნება ის მოვლენა, რომ ჩვენი მთის ხალხის სიმრავლე ერთ წერტილზე სდგას, მისი რაოდენობის ზრდა შეჩერებულია. მიუხედავად მთიელთა რიცხვის ზრდის შეჩერებისა, მთა თავის შვილებს ვერა ჰკვებავს, ყველა ფერს სხვას რომ თავი დავანებოთ, თვით შიმშილობის ფაქტიც გვიკარნახებს იმას, რომ მშიერ ქვეყანაში კულტურულ განვითარებას ადგილი არა აქვს.

მე ამ ჟამად სურვილი არა მაქვს წარმოუდგინო მკითხველს მთიელის ცხოვრების სურათი; ხოლო ვიტყვი: მთიელის დღევანდელი ცხოვრება აუტანელია, შავბნელია და არც მომავალი უქადის ხეირს, თუ მისი ცხოვრების პირობები არსებითად არ შეიცვალა. ერთი სიტყვით, მთა თავის მცხოვრებლებს ვერ ზიდავს. მთის მცხოვრებლების რაოდენობას გათხელება სჭირია. მთიელთა რიცხვის გათხელება—კოლონიზაცია—დიდი ხანია, რაც დაიწყო. დიდი ხანია, რაც დაირღვა „ხევსურის სამშობლო", ბევრად წინ, ვიდრე რ. ერისთავი დასწერდა თავის ლექსს. ბევრი ხანია მას შემდეგ, რაც მთიელმა უარჰყო იმავ მგოსნის სიტყვები—„არ გავცვლი ჩემსა სამშობლოს უკვდავებისა ხეზე და". მთიელმა ბევრი ხანია, გასცვალა თავისი სამშობლო სხვა კუთხეებზე...

მთიელი, მოსწყდებოდა რა თავის სამშობლოს, ეძებდა სხვაგანაც უფრო მაღალ ადგილებს, როგორიც არის ერწო, ციგ-გომბორის მთაგრეხილის კალთები და სხვა. მართლადაც, თუ მოხდება ჩვენი მთიელების გადასახლება სხვა რაიონში, როგორი უნდა იყოს ეს რაიონი? აუცილებლად მაღალი. ამას მოითხოვს, ერთის მხრივ ხალხის ჯანმრთელობის ინტერესი, მეორეს მხრივ—ხალხის მეურნეობა. ხალხის ცხოვრების ამ ორ ფაქტორს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. დიდი შეცდომა იქნება, თუ მთიელი, აღზრდილი ბუნების თავისებურ პირობებში, დაასახლეთ ბარში. მას აქ გაწყვეტა მოელის. ჩვენ კარგად გვახსოვს ყველას, რომ ციებ-ცხელებიან ადგილებში (შულავრის ველი, სიღნაღის, თელავის მაზრები და სხვა) დასახლებული რუსები როგორ მრავლად წყდებოდნენ. რუსეთის ვერაგ მთავრობას თავისი მიზანი ჰქონდა დასახული კოლონიზაციის საშუალებით და ამიტომ გულგრილად უყურებდა თავის კოლონისტების ამოწყვეტას მალიარიისაგან. მაშინდელი მთავრობა ასე სჯიდა: ეს ხალხი ბევრი მყავს; ნახევარი რომ განადგურდეს, მეორე ნახევარი დარჩება და ამით მე ჩემს მიზანს მაინც მივაღწევო. ჩვენ ასე ვერ ვიმსჯელებთ, რადგან ძალიან ცოტანი ვართ და ჩვენთვის კი სიმრავლეს დიდი მნიშვნელობა აქვს. ესეც რომ არ იყოს, ჩვენგან ადამიანობა მოითხოვს, რომ ისე არ მოვიქცეთ, როგორც იქცეოდა ძველი მთავრობა, რადგან კოლონიზაციის მიზანია: კოლონისტი უკეთეს პირობებში ჩააყენოს.

ყოველი თემი, გინდ ჯგუფი, მეტად მჭიდროდაა დაკავშირებული თავის მეურნეობასთან. მეურნეობას თავისი გავლენა აქვს ადამიანის ფიზიკურ აგებულებაზე, მის გრძნობათა მოძრაობაზე, მის მსჯელობაზე; და თავისით, ამ ზემოხსენებულ სამ ფაქტორს დიდი გავლენა აქვს მეურნეობის განვითარებაზე. ადამიანი ჩაქსოვილია თავის მეურნეობაში, როგორც მეურნეობა მასში შესისხლხორცებულია. თემის დაშორებამ მეურნეობისაგან ადვილად შესაძლებელია გამოიწვიოს ამ თემის სრული გადაგვარება ამის გამო ფრიად საშიშია. თემის დაშორება მის მეურნეობისაგან, როგორც დასკვნა ზემოთ ნათქვამიდან: მთიელები უნდა გადავასახლოთ ისეთსავე ადგილას, სადაც შეიძლებენ **შეინარჩუნონ ჯანმრთელობა და განაგრძონ თავისი მეურნეობაც.**

ამ რიგად, კოლონიზაციის საკითხს უნდა შევხედოთ როგორც პრინციპიალურის თვალსაზრისით, ისე პრაქტიკულის შესაძლებლობით. ამასთანავე კოლონიზაციის საკითხი სახელმწიფოსთვის ხომ ერთ-ერთი დიდ საკითხთაგანია.

ერთად-ერთი გზა, რომელიც ჩვენ უნდა მივცეთ ჩვენი მთიელების გადასახლებას, არის გზა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებისაკენ. მთიელების კოლონიზაციის საქმის მოწყობას უფრო შეეფერება ახალქალაქის მაზრის რაიონები. ეს მაზრა ცნობილია თავის სიმაღლით, სალი ჰავით, მდინარე-წყაროებით, ტბებით და საუკეთესო საზაფხულო საძოვრებით. მიუხედავად ამ რაიონის სიმაღლისა, იგი წარმოადგენს შესანიშნავ ვაკე ადგილებს, ასე რომ ამ მაზრის სივრცეზე თითქმის ყველგან იმუშავებს ურემი. ამ რიგად ახალქალაქის მაზრა პირველ ხარისხოვანი რაიონია მესაქონლეობისათვის, ხოლო მიწის დამუშავებაში შეიძლება დაბალი კულტურის წარმოება. ჩვენი მთიელები უფრო მისდევენ საქონლის მოშენების მეურნეობას. და როგორც ასეთი დარგის ხალხს, მათ შეუძლიათ უვნებლად იცხოვრონ ახალქალაქის მაზრაში და ამავე დროს განავითარონ თავისი მეურნეობა და საქონლის მოშენების საქმე უფრო მაღალ საფეხურზე დააყენონ. ეს ასე იმიტომ მოხდება, რომ ამ მაზრის ტერიტორია შეიცავს დიდ-ძალ სათიბ ადგილებს, რაიც საშუალებას მისცემს მესაქონლეს ზამთარში უზრუნველჰყოს თავისი საქონელი გამოკვების მხრივ. ამავე დროს ჩვენი მთები სათიბებით მეტად ღარიბია. ეს გარემოება არა თუ აფერხებს საქონლის მოშენებას, არამედ ხელს უშლის რაიმე გაუმჯობესობა შეიტანოს მეურნემ ამ დარგში. მაშასადამე, თუ ჩვენ გვსურს კოლონიზაციის საკითხის არსებითად და რაციონალურად გადაწყვეტა, მაშინ ჩვენ აუცილებლად უნდა მოვახდინოთ მთიელთა რაოდენობის შეთხელება გადასახლების საშუალებით და ამასთან ერთად. რასაკვირველია, შემცირდება საქონლის რიცხვიც ერთ ხნობამდის მაინც. თუ ჩვენ დროზე ვერ მოვახერხეთ მთიელების გადასახლება შესაფერ ადგილებზე, მაშინ ამ თემების ფიზიკური არსებობა საფრთხეში ჩავარდება და მისი გადაგვარება მომავალში აუცილებელი გახდება. რაც შეეხება არსებულ პირობებში საჭირო კულტურის შეტანას მათ ცხოვრებაში, ეს ხომ ჩვენთვის ხალასი ოცნება იქნებოდა და ყოველი ჩვენი ცდა ამ მხრივ დაიმსხვრევოდა შიმშილის, სიცივის და სიღატაკის ზღუდეებზე.

თუ ჩვენ, მართლა—და, მოვახერხეთ ამ რაიონების დასახლება ჩვენი მთიელებით (მე, რასაკვირველია, ვფიქრობ, რომ ამ მაზრებს დავიბრუნებთ), მაშინ ამას მოჰყვება ერთი ღირსშესანიშნავი შედეგი: **ჩვენ გვეყოლებიან საუკეთესო, შეუდარებელი დარაჯნი ოსმალეთის საზღვრებზე.** ვამბობ ამას იმიტომ, რომ მთიელნი, რომელთა შორის გმირობის ტრადიციები დღესაც ცოცხლად ინახება მათ მეხსიერებაში, დაუფასებელ სამსახურს გაუწევენ სამშობლოს მტრის შემოსევის დროს. ამაზე არა მგონია ვისმეს ეჭვი დაებადოს.

ხსურავის ნუ დაავიწყდება, რომ დღესაც ახალციხის და ახალქალაქის მაზრები აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობისათვის. ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ ახალქალაქის მაზრაში ზაფხულობით იკვებებოდა მილიონზე მეტი სული საქონელი, რომელიც ეკუთვნოდა ქართველ მეურნეებს. რამდენად საჭირო იყო ეს საძოვრები ჩვენი მწყემსებისათვის აშკარად სჩანს იქიდანაც, რომ წრეულსაც გაბედეს ახალქალაქის მაზრაში გადაერეკათ თავიანთი საქონელი. და ეს მოხდა მაშინ, როდესაც მათ მოელით სრული განადგურება მტრისგან. სჩანს, სხვა გზა აღარა ჰქონდათ, რათა გადაერჩინათ თავიანთი სიცოცხლე, ქონება. ან ეს საქონელი სად წავიდეს, ხსენებული მაზრები რომ მტრის ხელში დარჩეს? თქვენ იტყვით—გაჰყიდოსო. კარგი და პატიოსანი. მაგრამ თვით მწყემსებს რას უზენებით? საუკუნოებით ნაჩვევ მეურნეობას რომ უსპობთ, რომელ მეურნეობაზე უნდა გადავიდნენ ესინი? აქ ორი და სამი პირი ხომ არ არის; საქონლის მოშენებას მთელი თემები მისდევენ...

როგორც გინდა ატრიალოთ ახალციხისა დი ახალქალაქის შესახებ საკითხი, მაინც ერთ და იმავ დასკვნას უნდა მიადგეთ: შეუძლებელია საქართველოს ტერიტორიას ჩამოეჭრას ეს მაზრები. მართალია, ბათომში ზავი ჩამოაგდეს და ხელიც მოაწერეს; მაგრამ მაგარი ის არის რომ დღევანდელს ზავს რა მნიშვნელობა აქვს ხვალისთვის? განა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება ზავი არიყო, განა მას სავალდებულო მნიშვნელობა არა ჰქონდა მოზავე სახელმწიფოებისათვის? ჰქონდა, როგორ არა ჰქონდა! მაგრამ დაირღვა იგი. ომის ამ გვარ ხასიათის გამო, არც ჩვენ ვიცით, რა მოხდება ხვალ. ისიც-კი არ ვიცით, უზრუნველყოფილია, თუ არა, საქართველოს დამოუკიდებლობა.

მაშ, როგორ მოვიქცეთ?

მიუხედავად იმისა, რომ შინაური ჩვენი მდგომარეობა მეტად უნუგეშოა,—მე მოგახსენებთ ჩვენი ხალხის შეუგნებლობაზე,— მაინც-და-მაინც ფარ-ხმალს უნდა მივმართოთ. ჩვენ უნდა ვემზადნეთ დღეს, ვემზადნეთ ხვალ, ვემზადნეთ მუდამ ჟამს, ვიდრე ჩვენი სახელმწიფოებრივი სახე აშკარად არ გამოირკვევა. ხოლო ეს მოხდება მაშინ, როდესაც დღევანდელი მსოფლიო ომის სალიკვიდაციო ზავი ჩამოვარდება და ამ ზავს მთელი მსოფლიო დაადასტურებს. იმედია, ამ ზავის შეკვრის დროს ჩვენი წარმომადგენლებიც იქნებიან. აი იმ დროისთვის უნდა შევქმნათ ძალა, თუ ჩვენი ფსიქიკა სულ არ გადაგვარებულა; აი ეს შექმნილი ძალა დაუპირისპიროთ მტერს, და მაშინ ჩვენი წარმომადგენელი მსოფლიო ზავის კონფერენციაზე ხმა მაღლა იტყვის იმას, რასაც უკარნახებს ჩვენი ქვეყნის ძალების ყოველ მხრივი განვითარების საჭიროება. მაშინ, ვფიქრობ მე, ახალციხის და ახალქალაქის მაზრების და ზოგი სხვისაც ბედი ჩვენკენ გადაწყდება.

დ. ქადაგიძე.

მეტი ენერგიის მქონე ადამიანი იყო. მას იცნობდა არა მარტო რუსეთი, არამედ მთელი ევროპა და უკანასკნელ ხანებში მის სიტყვებს გაფაციცებით ყურს უგდებდნენ. საბჭომ მის ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცა და ხმოსან აზათიანის წინადადებით მიხეილის პროსპექტი გადაკეთდება პლეხანოვის ქუჩად და ამასთანავე ერთ-ერთის საქალაქო სკოლას მისი სახელი დაერქმევა.

ქალაქის თავი ნ. ელიავა მოახსენებს საბჭოს მოკლე ისტორიას, თუ როგორ აპირებდნენ ამიერკავკასიის მთავრობის დროს 25 მილიონ მანეთის სესხის აღებას და ეს როგორ განუხორციელებელი დარჩა. ახლა კი რადგან საქართველოს ნორჩ რესპუბლიკას არ ძალუძს ამოდენა სესხის მიცემა ამ საქმის გამომრკვევმა კომისიამ გადასწყვიტა გამოითხოვოს მხოლოდ 5 მილიონი. საბჭო ადასტურებს ამას.

მეტად საყურადღებო საკითხი იყო სასურსათო საქმე. მომხსენებელმა დავით ბოჭორიშვილმა მწუხარებით აღნიშნა, რომ ქალაქი უძლურია ებრძოლოს კრიზისს. წინად სასურსათო საქმე მინდობილი ჰქონდა ქალაქს, აერე გადაწყდა განსაკუთრებულ სამინისტროსთვის მიენდოთ ეს. მაგრამ მინისტრების მეტად სწრაფმა ცვლილებებმა საქმე ვერ მოაგვარეს. ახალი მინისტრი ვერც კი აბერხებდა, რომ იგი უკვე მეორეთი იყო შეცვლილი. ამ რიგად მთელი ერთი თვის განმავლობაში არც ერთი ფუთი ხორბალი არ შემოსულა. პირველ ხანებში ქალაქი იკვებებოდა შენახული პურით, მაგრამ ესეც მალე გამოილია. ამას ხელს უწყობდნენ სხვა და სხვა ფრონტებიდან გამოხვეწილებები, რომელთა რიცხვიც 40 ათასამდე ადიოდა. ქალაქს მეტად უჭირდა მათი გამოკვება, მაგრამ სიმშილით ხომ ვერ დახოცავდა მათ, როდესაც თან წამოღებული ფქვილიც გამოელიათ იძულებული ვიყავით კერძო ინიციატივისათვის მიგვემართა, სპეკულიანტებისთვის გზა გაგვეხსნა რომ ქალაქი უფრო მეტად არ დამშეულიყო. დაიწყო სრული ვაკხანალია ფასების გადიდებაში.

ჩვენ ყოველივე ვიღონეთ, რომ პური გვეშოვნა. გავგზავნეთ ახალციხიდან გადმოხვეწილებს პური ურმებით თან მოჰქონდათ და რადგან სწრაფად უნდოდათ უკან დაბრუნება ამისთვის პურს გზაში სტოვებდნენ ჩვენ გავგზავნეთ კაცი გადმოხვეწილებისაგან პურის საყიდლად და გადაყრილების მოსაგროვებლად, მაგრამ ოსმალოებმა მიგვისწრეს და ჩვენ არაფერი დაგვრჩა. გუშინ კაცი გავგზავნეთ ადერბეიჯანში იქნებ იქ მოგვყიდონ პური.

ჩვენი სოფლელები კი პურს არა ჰყიდიან, თუმცა ბევრი აქვთ. ერთადერთ გამოსავალ გზათ ჩვენ მიგვაჩნია, რომ სპეკულიანტების კლანჭებსაც თავი დავაღწიოთ, ეს პურის საქმე გადავცეთ კოოპერატივებს ამისთვისაც საჭირო იქნება მოხდეს ლიკვიდაცია ქალაქის სასურსათო დუქნებისა.

გაისმა ხმა, რომ მთავრობა არა სცდილობს საქმის მოგვარებას ადერბეიჯანთან, რადგაც სალიკვიდაციო საქმეების გამო, თორემ ჩვენ პურიცა, ნავთიც და მაზუთიც გვექნებოდა.

იოხ. ზარათაშვილი. რამდენადაც ჩვენ ვიცით ნავთი და მაზუთი ბაქოს ბოლშევიკების ხელშია და არა ადერბეიჯანისა.

ნ. რამიშვილი. ეს ცნობები ცალმხრივია. არავითარი გამწვავება ადერბეიჯანსა და საქართველოს შორის არ არის.

ადერბეიჯანიდან არავითარ სურსათს არ უშვებენ სხვაგან ოსმალოები. ნავთი ადერბეიჯანში იმაზე მეტი არ არის, რაც ჩვენა გვაქვს. პურის მოუტანლობის მიზეზი რუსეთისაკენ უგზოობაა.

სასურსათო კრიზისი ორი-სამი კვირის შემდეგ სულ გაივლის. გერმანიას აქვს უკრაინაში მოგროვილი ზედმეტი პური, რომელსაც ჩვენც მოგვაწვდის.

ხანდანოვი. დამნაშავეა მთავრობა. ქართველ გლეხებს ბევრი პური აქვთ გადამალული, იმათ ფულიც არ უნდათ და გადასახადებსაც არ იხდიან, ახლა მიწებსაც მუქთად ურიგებენ.

დანდუროვი. მალე გვექნება პური, მე დავალებული მქონდა შემომეყლო ზოგიერთი რაიონები და როგორც გლეხების ყრილობებზე ბაასის დროს გამოირკვა, იმათგან ჩვენ პურს მივიღებთ, თუ მათ მანუფაქტურა მივაწოდეთ. (უკანასკნელ სიტყვების გაგონებაზე შემორჯვენე ფრთას ღიმილი მოსდის).

ბოჭოვი. თუ მუშებმა ინტენსიურად იმუშავეს ჩვენ შევძლებთ ზოგიერთი საჭირო საგნების დამზადება და გლეხების მიწოდება; მაშინ ამათგანაც პურს მივიღებთ.

გადაწყდა სურსათის საქმე გადაეცეს კოოპერატივებს, კონტროლი კი დაეკისრა ქალაქის გამგეობას.

კონიევი. კერძო საელექტრონო სადგურები პირობას არ ასრულებენ და ქუჩებს არ ანათებენ, ამასთანავე არ იხდიან დაწესებულ გადასახად 1 კილოვატ საათზე სამ მეოთხედ კაპეიკისას.

ხანდანოვი. კერძო საელექტრონო სადგურებს მეტად მძიმე გადასახადი აწევთ, ამის ქვეშ ისინი სულსა ღაფავენ, მაგალითად ნაძალადევის საელექტრ. სადგური და ახალი გადასახადის დაწესება კი მეტად შეავიწროვებს სადგურის პატრონებს. გადასწყდა აირჩიონ კომისია ამის გამოსარკვევად.

გადაიდო 15 ათასი მანეთი საკანალიზაციო მილის შესაკეთებლად ვაგზლის ქუჩაზე.

ამის შემდეგ გასარჩევი დარჩა რამდენიმე ეგრედ წოდებული ვერმიშელები რომელიც სწრაფად სწყდება, მერე აღმოჩნდება, რომ ხმოსანთა საკმაო რიცხვი აღარ არის და კრებაც იხურება.

## მილიციაში

1918 წ. ივნისის 27, შესდგა საერთო კრება მე 7 სამილიციო უბნის მილიციონერებისა ტუხიშვილის თავმჯდომარეობით და ბახტაძის მდივნობით. განიხილეს შემდეგი საკითხები: 1. ორი დელეგატის არჩევა პროფესიონალურ კავშირისათვის, 2. საგამომძიებლო კომისიის წევრების არჩევა. 3. ერთი წევრი—დაჭერილ საქონლის საპატრონებლად თავის პასუხის მგებლობით და 4. კონტროლის დაწესება ყველა დაჭერილ საქონელზე. თავის მოკლე სიტყვაში ამხ. ბახტაძემ გამოხატა ის რომ დღემდის არავითარი ორგანიზაციული მუშაობა არ სწარმოებდა ჩვენს კომისარიატში. უპატრონოდ მიტოვებულ კომისარიატს ისეთი ისეთ პირებს უგდიათ ხელთ, რომ დღეპის გზაზე მიაქანებენ მას. მე 7 კომისარიატი ამღვრეულ მდინარეს გავაგონებს, მეზღვაურები რომ თავისუფლად დახელაობენ თევზის დასაჭერად. ამხანაგ ბახტაძემ გამოსთქვა ის აზრი, რომ მთელი ჩვენის ენერგიით უნდა ვეცადოთ კომისარიატში წეს-რიგის განმტკიცებას და უპატრონო პირების კერძო ინტერესების გულისთვის საზოგადო საქმის დამღუპველების ასალაგმათ. მოუღოს ბოლო უპატიოსნო საქციელებს, რომელიც ხშირი მოვლენაა მილიციონერთა შორის, დროა გამოვფხიზლდეთ და ენერგიულად მოვეკიდოთ საქმეს ხელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ბოლოს დაასკვნა, რომ ვიდრე მის წევრებს ავირჩევდეთ, ყველამ კარგად უნდა უწყოდეს, რომ ამორჩეულ წევრებს აუცილებლად უნდა ევალებოდეს დაკისრებულ საქმის პირნათლად შესრულება პასუხისმგებლობით. აი მაშინ იქნება მტკიცე ორგანიზაციული მუშაობა, როდესაც იქნება უფლება მოვალეობის პასუხის მგებლობა. ამას შემდეგ კრებამ ხმის უმეტესობით ამოირჩია დელეგატები პროფესიონალურ კავშირისთვის: გაჩეჩილაძე და გუდუშაური კანდიდატად იერაძე. საგამომძიებლო კომისიის წევრებათ არჩეულ იქნენ: ტუხიშვილი, იულოვსკი, ბახტაძე, დოლიძე და ჩიქოვანი. კანდიდატებად სირაძე და ვლასიანცი.

დაჭერილ საქონლის შემნახველად თავის პასუხისმგებლობით ცაგარეიშვილი და საკონტროლო კომისიაში კი ტუხიშვილი და შენგელაია.

## სადღეისო ფიქრები.

მეტად მძიმე და სასტიკ პირობებში მიმდინარეობს დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოებრივობის აშენებლობითი პროცესი.

შემოქმედებითი მუშაობის ინტენსივობისათვის საჭირო პირობები და გარეშეუშლელ მომენტის ელემენტარული მოთხოვნილება ვერ არის სათანადოდ დაცული.

დემოკრატიის მთლიანი ფრონტი, მწყობრი სოლიდარული თანამშრომლობა დარღვეულია: ანარქიამ მოიცვა საქართველო.

ძმა ძმის სისხლს გაბოროტებულ სიამოვნებით ანთხევს..

ამ დარგში ეგრედ წოდებულ „ბოლშევიზმის" მიმდევართ აქვთ ნაკისრი თაოსნობა. საქართველოს ზოგიერთ ნაწილში „ბოლშევიკები" ეხლაც ღალად დათარეშობენ და თავიანთ „ცნობილ მოღვაწეობას" გულმოდგინეთ აწარმოებენ.

რევოლიუციის ბრწყინვალე ისტორიაში „ბოლშევიკებმა" შესაფერი ადგილი დაიკავეს, მათი „მოღვაწეობის" ისტორიის შავი ფურცლები გადასცემს მომავალ თაობას. დღეს ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობას უამრავი მტერი ჰყავს. არა ნაკლები მესაფლავენი აღმოაჩნდა რევოლიუციასაც. მტერი მოკეთეებზე, დამქცევი შემომქმედზე გაცილებით მეტი გვყავს.

ასეთია დღევანდელი ჩვენი ცხოვრების უტყუარი სურათი და რა გასაკვირველია, თუ მომავლის პერსპექტივები იმედებს მოკლებული ებადებოდეს ადამიანს.

დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკურ ჰორიზონტზე შავი ღრუბლებია დაგროვილი და ატმოსფერა რეაქციის მყაყე სუნით იჟღინთება.

მღელვარეობა თანდათან მძიმე და მკაცრ საბედისწერო გამოხატულებას ღებულობს და ავგილი მოსალოდნელია, საშინელი აზრების მოწმენი გავხდეთ, თუ მოვალეობის შეგნება ქართველ ერში მძლავრად არ ამოქმედდა და მშრომელ დემოკრატიის გონებაში შესაფერი ალაგი არ დაიკავა.

დ. დ.

## ქართველ ექიმთა და ბუნების-მეტყველთა საზოგადოების საყურადღებოდ

ძირითადი საფუძველი სახანიტარო და საექიმო მართვა-გამგეობისა საქართველოში.

I. სახელმწიფო სასტატისტიკო ბიუროსთან არსდება დამოუკიდებელი სამედიცინო სასტატისტიკო ნაწილი, რომლის გამგედ უნდა იყოს ფართოდ განათლებული, მკურნალი სპეციალობით ჰიგიენისტ-სტატისტიკოსი.

II. სამედიცინო სტატისტიკის ნაწილს ევალება:

1. სენთა ტერმინოლოგიის და სტატისტიკის გეგმის გამომუშავება; სასტატისტიკო მასალის ერთად მოყრა და მათი მეცნიერულად დამუშავება-გამუქნება.

2. ბრძოლა სახელმწიფო მასშტაბში მალიარიასთან და ტუბერკულოზთან ფართო ჰიგიენურ და სანიტარულ ზომების მიღებით და აგრეთვე ხელმძღვანელობა და მატერიალური დახმარება თვითმართველობათ ამ ნაირ ბრძოლაში.

3. კურორტების ექსპლოატაცია, რომლის შემოსავალი უნდა მოხმარდეს განსაკუთრებით ზემო-აღმ შნულ მუხლში დასახელებულ საჭიროებას.

III. ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიები პასტერის სადგურით და აგრეთვე მიხაილოვის სახელობის საავადმყოფო და საბებიო ინსტიტუტი უნდა გადაეცეს ქართულ უნივერსიტეტს კლინიკების და ლაბორატორიების მოსაწყობად. ამ ლაბორატორიებს ევალებათ სასტატისტიკო ბიუროს დავალებით და თვითმართველობათა მოთხოვნით ყოველნაირი მეცნიერული კვლევა-ძიება და აგრეთვე შრატის და სხვა საჭირო სამკურნალო მასალის დამზადება.

IV. მიხეილის საავადმყოფოსთან და საბებიო ინსტიტუტთან არსებული სკოლები—საფერშლო და საბებიო—უნდა გაუქმდეს. რასაც ეხლა ფერშლები და ბებია ქალები ასრულებენ უნდა შეადგინდეს ექიმების მოვალეობას.

V. სასანიტარო და სამკურნალო მართვა გამგეობა ხაზებით გადაეცეს თვით-მართველობათა განკარგულებაში, მათვე ევალებათ როგორც სასამართლო ისე სამხედრო ნაწილების შემ მხრივ დაკმაყოფილება.

შენიშვნა: სასამართლო ინსტანციათა უთანხმოების შესახებ პასუხის მიცემა და ზისი მეცნიერულად გამუქება გადაეცემა სამკურნალო ფაკულტეტის საბჭოს.

VI. ადგილობრივ თვითმართველობათა მოვალეობას შეადგენს მომზადება სპეციალური კურსების დარსებით უმცროსი პერსონალისა სამედიცინო ყველა დარგისათვის.

მკურნალი მიხეილ გედევანიშვილი.

## ქართული ფულის ფონდი

სამხედრო სამინისტროს კანცელარიაში მოიტანეს ფულის ფონდისთვის: კოლ. არეს. ქაიხოსრო გიორგის ძე ჯავახიშვილმა: სტანისლავა მეორე ხარ. 1, სტან. მესამე ხარ. 1 და ანნა მესამე ხარ. 1, სულ სამი ორდენი და ერთი ბრინჯაოს მედალი; დიმიტრი მიხეილის ძე ბახტაძემ გამოგზავნა ქალაქ ქუთაისში მისი ქალის მიერ ნაცნობთ შორის შეგროვილი: 1) 12 ქართული ძველი ვერცხლის ფული—„ქართულ-თეთრი"; 2) 3 რუსული ვერცხლის მანეთი. 3) 24 ვერცხლის მედალები, 4) 4 პატარა ვერცხლის სათითური, 5) სამი ვერცხლის საუნივერსიტეტო ნიშნები, 6) 6 ვერცხლის გიორგის ჯვარი, 7) პატარა ვერცხლის ჩანგალი, 8) სამი ვერცხლის პატარა ნატეხები, 9) 50 ვერცხლის პატარა სანათლავი ჯვარი, სულ ვერცხლი წონით 1 გირ. და 48 მისხალი და სამი ორდენი ვლადიმერი, ანნა და სტანისლავი; ქუთაისის საურთიერთო ბანკის დირექტორი ბ. უზნაძისაგან მივიღეთ: ერთი ძველებური რუსული ოქროს ფული; გრიგოლ ტიმოთეს ძე გიორგაძემ: ორი ვერცხლის ფიცარი, წონით $3^1/_4$ მისხ.; პოლკოვნიკმა კონსტანტინე კაკაბაძემ: ანნა მეორე ხარ. 1, ანნა მეორე ხარ. 1 და ვლადიმერი მეოთხე ხარისხისა ერთი; პოლკ. მ. ა. დუმბაძემ: ანნა მეორე ხარ. 2 და სტანისლავა მეორე ხარ. 1, სულ 3; ილია გლ ხუბ ძე ვადაჭკორიამ ერთი ვერცხლის „წითელი ჯვრის" ნიშანი; არჩილ, გიორგი და ლეო ივანეს ძე ზურაბიშვილისაგან: ვერცხლის სხვა და სხვა საგნები წონით 1 გირ. და 18 მისხალი რუსული ვერცხლის ფული 9 მან. და ოქრო ნახ. მისხალი. ყველა შემომწირველს სათანადო კვიტანცია ეძლევა.

—

სიმონ საბაშვილისაგან: ორი ოქროს ხუთ მანეთიანი.

—

ფ. დუგაშვილისაგან: ოთხმოცდარვა კაპ. სპილენძის ფული.

—

ეკატერინე ნიკოლოზის ასული ფურცხვილისაგან 2 არყის ვერცხ. ჭიქ. ვერცხლის საათი, 200 შაურიანი, ერთი ვერცხ. თათრული ფული, ერთი პაწია ვერცხლი, ორი ვერცხლის ქეჩონი, სამი ოქროს ძეწკვის ნაწყვეტი და 2 ნახევ. კაპ. სპილენძის ფული.

—

თამარ კარბელაშვილისაგან: ექვსი მანეთის ვერცხლის ფული.

—

სოფიო დევიძისაგან: ხუთი მანეთისა და ხუთი კაპ. ვერცხლის ფული.


[illegible]

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
[illegible] 12—2 საათ.
[illegible] ქ. № 3.

ექიმი
დ. მარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. [illegible] ქუჩა, № 7. 2180

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მასის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49.
1153

ექიმი
ქაქო არდაზიანი
[illegible] იღებს ბავშვთა და შინაგან[illegible] ავადმყოფებს, დილის 8—9 ს. და საღამოს 4—6 ს. [illegible] ქ. 12, [illegible]. 1002

მედიცინის დოქტორი
მიუნხენის უნივერსიტეტისა
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ.
შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი.
ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვრის აფთიაქის გვერდით. 624

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
[illegible], იღებს 4—6 ს., გარდა კვირისა. მისამართი: [illegible] ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი
ა. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფებს [illegible] 5—6 ს. [illegible] კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 31, [illegible] 1030

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით $5^1/_2$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
ს. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 6—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის" ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე. ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. დარიგება უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 8. 450

კბილის ექიმი
კონსტანტინე არდაზიანი
განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

თვალის სამკურნალო
მუდმივი ხაწოლით
ექიმ დონხინისა
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში, თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროს. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად), მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიას ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1082

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მახათის ქ. № 11. 426

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
გორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
გ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. გ. აგაპაროვა: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
[illegible]—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.
მ. მ. ზენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ბ. გ. ავეტიხიანი—9—11 ს. საკუთარივ ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ-გრიგორიანცი: 1—2 ს. შინაგანი.
საღამოთი:
ა. ნ. იახკიანი: 6—7 ს. ქირურგი ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

ყველა მოქალაქისათვის
3 მან. წერილი 3 მან.
შეიძლება პასუხითაც, რუსეთის, ციმბირის, უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, კავკასიის, პოლონეთის და დასავლეთის მხრის ყველა ქალაქში. ფასი ღია წერილი წერილისა 3 მან. დახურულის 6 მ. და შეკვეთილის 7 მან. ყველა წერილი მარკებით უნდა იქმნეს გადახდილი. საგანგებო შეთანხმებით შეიძლება სხვა და სხვა საქმის მონდობა და გაგზავნილი საქონლის მოძებნა.—ამ საქმეებისათვის იგზავნება გამოცდილი პირები და სანდო წევრები კავკასიის მშრომელთა კოოპერატივისა. დიდი მთავრის ქ. და კირკის. ქ. კუთხე, ოფიცრების საზ. შენობა, საკომისიო-საუწყებო კონტორა, დილის 10—2 ს. საღ. 5—6 ნახ. ს. საზოგადოების საწყობში (ოლღას ქ. 49) შეიძლება ბარგისა და საქონლის შენახვა, იაფად. 680

სტამბა
„სახალხო საქმე"
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14. ტელეფონი 17—96.


სტამბა „სახალხო საქმე", ბარონის ქუჩა № 14